პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 112 (18654) კვირა, 15 მაისი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესია 1983 წლის 16 ივნისს, ქალაქ მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე
ვ. კუზნეცოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1983 წლის 14 მაისი.

ხელმძღვანელის ავტორიტეტი

პარტიული ცხოვრება: საუბარი იმაზე, რაც გვაწუხებს

უავტორიტეტოდ ნამდვილი ხელმძღვანელი არ არსებობს. მაგრამ რას ეფუძნება ეს ავტორიტეტი? ამაზე მსჯელობისას „პრავდაში“ გამოგზავნილი წერილების ავტორები ასახელებენ იდეურ მრწამსს და კომპეტენტურობას, ხალხის დარაზმვისა და აღზრდის ნიჭს, ამაღლებულ ზნეობრივ თვისებებს...

ავტორიტეტიანი ხელმძღვანელების აღზრდა პარტიული ორგანიზაციების დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა. იმაზე, თუ რამდენად წარმატებით გაართმევენ ისინი თავს ამ ამოცანას, მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სკკპ XXVI ყრილობაზე დასახული ჩვენში ეკონომიკური და სოციალური გეგმების ბედი.

ბევრი წერილის ავტორებს აინტერესებთ კაძრებთან მუშაობის საქართველოს პარტიული ორგანიზაციის გამოცდილება. სწორედ ამას ეხება ჩვენი კორესპონდენტების საუბარი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ე. ა. შევარდნაძესთან.

— როცა „ავტორიტეტიან ხელმძღვანელზე“ ლაპარაკობენ ხოლმე, უწინარესად ვინ გაგახსენდებათ, ედუარდ ამბროსის ძე, თქვენი რესპუბლიკის მუშაკთაგან?

— ბევრი. უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე, როდესაც ფართოდ გაჩაღდა მუშაობა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შესასრულებლად, ხელმძღვანელობაში მოვიდა ასობით ავტორიტეტიანი მუშაკი, რომლებიც რესპუბლიკურმა პარტიულმა ორგანიზაციამ დააწინაურა და დამსახურებული პატივისცემა აქვთ მოხვეჭილი ხალხში. ეს, შეიძლება ითქვას, წარმატების პირველი საწინდარია. ის შემოქმედებითი ატმოსფერო, რომლის შექმნასაც ყველგან ცდილობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქმის მცოდნე, იდეურად ნაწრთობ და ზნეობრივად სპეტაკ ხელმძღვანელებს აყალიბებს. და, მეორე მხრივ, ასეთი მუშაკები გულმოდგინედ ავითარებენ კოლექტიურ ნოვატორულ ძიებას.

მაგალითად, ახლა მთელ ჩვენ ქვეყანაში იციან ექსპერიმენტის ამბავი, რამდენიმე წლის წინათ აბაშის რაიონში რომ წამოვიწყეთ. ექსპერიმენტის ავტორთა მორის იყო პარტიის რაიკომის პირველი მდივანი გურამ დავითის ძე მგელაძე. იგი ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ რაიონში იმ მტკიცე გადაწყვეტილებით ჩავიდა, რომ ძირფესვიანად შეეცვალა ყველაფერი. მან შეძლო დაერაზმა და გაეყოლიებინა ხალხი, გამოეცოცხლებინა მათი ინიციატივა. კოლექტიური შემოქმედების შედეგი გახდა საწარმოო გაერთიანების — ახლანდელი რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ჩამოყალიბება. ამ. ცოტა ხნის წინათ დ. მგელაძე სასოფლო-სამეურნეო წარმოების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ დავამტკიცეთ. ავტორიტეტიანი, სპპტივცემულო მუშაკის კანონზომიერი ზრდაა...

რა თქმა უნდა, ავტორიტეტის მოხვეჭა მუდმივ თავდადებას მოითხოვს. ვისაც ამის უნარი არა აქვს, ხელმძღვანელად არ გამოდგება. ერთი დამახასიათებელი ფაქტი: როცა თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ჩვენი მუშაობის გარდაქმნა დაიწყო, რამდენიმე მინისტრმა და პარტიის რაიკომის მდივანმა თვითონ შემოიტანა განცხადება გადადგომის შესახებ. მიხვდნენ, რომ ახალ, მკვეთრად გართულებულ ამოცანებს თავს ვერ გაართმევდნენ. სამაგიეროდ მოვიდნენ მუშაკები, რომელთა ავტორიტეტს დღითი დღე ზრდის დიდი საქმეები. დავასახელებ, თუნდაც, პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტისა და საგარეჯოს რაიკომის პირველ მდივნებს ბაკურ გულუას და მედეა მეზვრიშვილს, ბოგდანოვკის რაიკომისა და გაგრის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნებს ვასილ კოჩოიანს და ენვერ კაპბას, გორის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარეს ვალერი ხუციშვილს... ყველას ჩამოთვლა ბევრ დროს წაგვართმევდა.

— ცნობილია, რომ რესპუბლიკაში ბევრი რამ კეთდება ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაკთა დაწინაურების დემოკრატიზაციისათვის, დაწინაურებულთა შესახებ პირველადი პარტიული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების აზრის უფრო სრული და ფართო გათვალისწინებისათვის. ხელს უწყობს თუ არა ეს ხელმძღვანელობაში მართლაც ყველაზე ავტორიტეტიანი ადამიანების ჩამოსვლას?

— ჩვენი შეხედულებით, ძალიან უწყობს ხელს. იკლო დაწინაურებისას შეცდომებმა, ახლა მეტი გვაქვს იმის გარანტია, რომ კაცი, რომელსაც ხელმძღვანელობა მიანდეს, ღირსეულად შეასრულებს თავის მოვალეობას. ახლა უკვე წარმოების მეთაურთა 40 პროცენტზე მეტს შრომითი კოლექტივები ასახელებენ, მაგრამ თუ ძირეულ რგოლს ავიღებთ, ოსტატებსა და ბრიგადირებს, აქ დაახლოებით 95 პროცენტი კოლექტივების დაწინაურებულია.

როცა საჭირო გახდა რესპუბლიკის სახმომართველის ხელმძღვანელობის განმტკიცება, უფროსის თანამდებობაზე სხვა მუშაკებს შორის დასახელებული იყო თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის დირექტორის ა. ბუაძის კანდიდატურა. გადაწყვიტეთ კოლექტივს მოვთათბირებოდით. და აი, რამდენიმე დღის მანძილზე საამქროებში აქტიური და დაინტერესებული ბჭობა მიმდინარეობდა. ლაპარაკი იყო დირექტორის არა მარტო ღირსებებზე, არამედ ნაკლოვანებებზეც, აძლევდნენ შენიშვნებს, სთავაზობდნენ წინადადებებს, უსურვებდნენ წარმატებებს. ყოველივე ეს მან გაითვალისწინა ,ახალ სამუშაო ადგილს. თანაც ქარხანასთან კავშირი არ გაუწყვიტია: რამდენიმე ხნის შემდეგ ანგარიში ჩააბარა თავის საწარმოს.

იგივე შეიძლება ითქვას ადგილობრივი მრეწველობის მინისტრ დ. კუბლაშვილზე, რომელიც რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხნის დირექტორის თანამდებობიდან დაწინაურდა. საწარმოს კოლექტივი დღენიადაგ ადევნებს თვალს, თუ როგორ ასრულებს იგი ამ საწარმოში მიღებულ განაწყსს. მუშებთან ასეთი ყოველდღიური კავშირი და მათი მომკითხველობა ხელს უწყობს ნდობის გამართულებას.

— ერთ-ერთი ნეგატიური მოვლენა კადრებში განაწილებაში, რომელიც აჭა-იქ ჯერ კიდევ იჩენს ხოლმე თავს, — ეს არის პროტექციონიზმი. გვიამბეთ, თუ შეიძლება, როგორ ებრძვის მას რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია.

— იყო დრო, როცა ჩვენში ძალზე გავრცელდა ნათლომამობა, მოყვრობა, კუთხურობა. დაწინაურება ადამიანის არა რეალური მონაცემების მიხედვით, არამედ მმაკაცობით, ე. წ. „ბლატით“ — რა შეიძლება ამაზე უფრო აღმაშფოთებლად ეწინააღმდეგებოდეს ლენინურ პრინციპებს? საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საგანგებო დადგენილება მიიღო პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ეს დადგენილება გვავალებს ყველგან საამედოდ დაუფუშოთ გზა ამ ბოროტებას, მკაცრი პარტიული შეფასების გარეშე არ დავტოვოთ არც ერთი მისი გამოვლინება.

ერთი სიტყვით, შემიძლია უყოყმანოდ ვთქვა: ახლა პროტექციის მოყვარულნი საფუძვლიანად დავტუქსეთ, მაგრამ სიფხიზლე მაინც გვმართებს — არ უნდა მოვადუნოთ. წარსულის რეციდივებს ჯერ კიდევ ვხვდებით. აი, მაგალითად: ჩვენი ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკი პარტიის რაიკომში რეკავს და სთავაზობს რაიკოოპკავშირის თავმჯდომარედ „მოაწყონ“ მისი მეგობარი — ულირსი კაცი, რომელმაც თავის დროზე სახელი გაიტეხა. როგორც კი ეს ამბავი გამეძღვნდა, დაუყოვნებლივ მივიღეთ გადაწყვეტილება. ასეთი კაცი არ უნდა გავაჭაჭანოთ არც ცეკაში და არც, საერთოდ, ხელმძღვანელ სამუშაოზე. ჰოდა, დავსაჯეთ, რათა სხვებმა, როგორც იტყვიან, ჭკუა ისწავლონ. ეს ერთეული შემთხვევა არ არის. პროტექციონიზმისათვის დაისაჯნენ პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების მდივნები, მინისტრები. მათ მაშინვე ვათავისუფლებდით თანამდებობიდან.

რაც შეეხება ნათესავებსა და მეგობრებს, მათ მიმართ, წარმოიდგინეთ, კიდევ უფრო პრინციპული და თანამიმდევრული უნდა ვიყოთ, ვიდრე სხვების მიმართ. პრინციპულობა ყველგან არის საჭირო, საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც და პირად ცხოვრებაშიც. აქ წყალგამყოფი არ არის და ვერც იქნება. ამაში ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, როცა პირველი მდივანი გავხდი. მაშინ კი შევიტყვე — თურმე რამდენი ნათესავი მყოლია! მათ შორის იყვნენ ისეთნიც, რომლებიც უკანონო თხოვნით მომმართავდნენ. მე მათ მოთმინებით ვუხსნიდი, რომ არავითარი პრივილეგია, არავითარი შეღავათი ჩემგან არ ელნებოდათ.

ერთხელ ამბავი მომივიდა, რომ რაიკომს კარი აუტალახა ვიღაც კაცმა, რომელიც ჩემ ნათესავად ასაღებდა თავს: მოითხოვდა დახმარებოდნენ მის უბატიოსნო ძმაკაცს. საჭირო გახდა საქმის გარკვევა, შემდეგ კი ეს ადამიანი, რომელიც სხვისი სახელით საეკულანტობდა, პარტიიდან გაიჩიცხა, გამოგიტყდებით, არცთუ ჩემი მონაწილეობის გარეშე.

თუმცა, აქ ერთი რამეც უნდა ითქვას: ნათესაური ურთიერთობა არც ერთ ადამიანს, ასე ვთქვათ, „ცხოვრების უფლებას“, სამსახურში დაწინაურების, საზოგადოებაში გარკვეული მდგომარეობის დაკავების შესაძლებლობას არ უნდა ართმევდეს. მაგრამ, ყოველივე ეს მხოლოდ და მხოლოდ მუშაკის დამსახურების, ღირსების, პოლიტიკური და საქმიანი თვისებების შესაბამისად უნდა ხდებოდეს და არა მოყვრობის მოსაზრებით, მხოლოდ „ჩემიანისთვის ხელის გამართვის“ სურვილით.

— არსებობს ერთი ცნობილი გამოთქმა, ავტორიტეტს თანამდებობასთან ერთად არ იძლევიანო, მაგრამ, ალბათ, უნდა უკვე გქონდეს გარკვეული ავტორიტეტი იმისათვის, რომ ესა თუ ის თანამდებობა დაიკავო, შემდეგ კი საქმით დაამტკიცო, რომ ამის უფლება გქონია. ზოგი მუშაკი, ხელმძღვანელ პოსტს რომ დაიკავებს, კიდევ უფრო იმაღლებს ავტორიტეტს, მეორე კი თანდათანობით კარგავს მას. რაზეა ეს დამოკიდებული, თქვენი აზრით, ხელმძღვანელის პიროვნებაზე, მის გარემოცვაზე თუ რომელიმე სხვა მიზეზზე? როგორ აღვზარდოთ ხელმძღვანელი ისე, რომ მისი უქნარობა, უპასუხისმგებლობა უშუალოდ ახდენდეს გავლენას მის სამსახურებრივ მდგომარეობაზეც და ავტორიტეტზეც?

— უსაქმურობასა და უპასუხისმგებლობას ვერ შევიწყნარებთ. თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების პროცესში პირველი შვიდი წლის მანძილზე იძულებული გავხდით თანამდებობიდან გაგვეთავისუფლებინა რესპუბლიკური მასშტაბის სამასამდე მუშაკი. მათ შორის 250-ზე მეტი — სუსტი მუშაობისათვის, 48 კაცი — პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის, პარტიული ეთიკის დარღვევისათვის.

რა თქმა უნდა, სკამი თავისთავად ავტორიტეტს არ იძლევა. წანამძღვრები სჭირდება იმის, რომ ხელმძღვანელ პოსტზე დაწინაურებული კაცი თავისი მდგომარეობის სიმაღლეზე დადგეს. ადამიანების უკეთ შესწავლაში გვეხმარება გეგმაზომიერი მუშაობა კადრების რეზერვთან. მომავალ ხელმძღვანელს საშუალებას ვაძლევთ გაიაროს სტაჟირება, იმუშაოს დუბლიორად, ესე იგი კონკრეტულად შეისწავლოს საქმე. მერე კი მთავარი უკვე თვით მასზეა დამოკიდებული. როგორ მოეკიდება საქმეს, როგორ ურთიერთობას დაამყარებს თანამშრომელ ამხანაგებთან, როგორ მოიქცევა.

უნებურად ვადარებ ერთმანეთს ორი კაცის ბედს. თითქმის ერთდროულად, სამწლინახევრის წინათ, ო. ბოკერია პარტიის გარდაბნის რაიკომის პირველ მდივნად, ხოლო გ. ქობლიანიძე რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრად დაინიშნა. თავიდან მათ შორის ბევრი რამ იყო საერთო. დაახლოებით ერთი ხნისანი არიან, ორივე მეცნიერებათა კანდიდატია, სამეურნეო და პარტიული მუშაობის სკოლაც გაიარეს. მაგრამ აი, დავაწინაურეთ და საქმეები სხვადასხვაგვარად წაუვიდათ.

გარდაბნის რაიონი სულ უფრო იმკვიდრებს რესპუბლიკაში მოწინავე რაიონის რეპუტაციას: სწორაფად მატულობს მისი წვლილი სასურსათო პროგრამაში, მტკიცედ ადგას პროდუქტების წარმოების გაორკეცების კურსს. რაიკომის პირველ მდივანს ერთსულოვანი კოლექტიური მუშაობის ორგანიზაციის კარგი უნარი აქვს, ხალხს საქმისადმი შემოქმედებითს დამოკიდებულებას უნერგავს. და თვალდათვალ ვხედავ, როგორ მატულობს მისი ავტორიტეტი.

ვაჭრობის მინისტრი კი იძულებული ვიყავით ამ ცოტა ხნის წინათ გადაგვეყენებინა. ვერ გამოუვიდა საქმე, თუმცა თავიდან წარმატებული მუშაობისათვის ყველა წახალისებული ჰქონდა. მაშ, რატომ ვერ გამოუვიდა? მოკლედ რომ ვთქვათ, ავტორიტეტი ვერ მოიპოვა აპარატში და დარგში. გადაწყვეტილებებს ხშირად ერთპიროვნულად იღებდა, სხვების აზრს ანგარიშს არ უწევდა, თავის მოქმედებაში თანამიმდევრულობას ვერ იჩენდა.

ასეთ შემთხვევაში ყოველთვის წამოიჭრება ხოლმე კითხვა, სად იყო პირველადი პარტიორგანიზაცია, რომელსაც ადმინისტრაციის საქმიანობისა თუ აპარატის მუშაობისადმი კონტროლის უფლება აქვს? იგი ხომ განსაკუთრებით ახლოს დგას ხელმძღვანელთან, და კომუნისტების ვალია დროულად მიუთითონ, ურჩიონ, დაარიგონ იგი. ჩემი აზრით, უნდა გავაძლიეროთ ხელმძღვანელების ფორმირებაში ძირითადი პარტიული რგოლების როლი, რაც სავსებით მართებულად ითქვა ამას წინათ თბილისში გამართულ საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, რომელიც პირველადს პარტორგანიზაციებს მიეძღვნა.

— ალბათ, დაგვეთანხმებით, ედუარდ ამბროსის ძევ, რომ ავტორიტეტი არის ნამდვილი და არის მოჩვენებითი. ზოგი ცდილობს, რადაც უნდა დაუჯდეს, უკეთ გამოიყურებოდეს და ამისათვის ბევრ რამეს კადრულობს...

— სამწუხაროდ, ასეა. ამას წინათ სამუშაოდან მოიხსნა და მკაცრად დაისაჯა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის დირექტორი ვ. ხარებავა. ამ საწარმოში წამატებანი გამოვლინდა. ესე იგი, დირექტორი, როგორც თქვენ ბრძანეთ, ცდილობდა უკეთ წარმოგვდგენოდა და მიუტევებელ ,ხერხს მიმართავდა. წამატებანი და თვალის ახვევა სერიოზული ბოროტებაა. კაცს სურს მოტაყუებით მოიპოვოს დაუმსახურებელი ავტორიტეტი. განა შეიძლება ამის შეწყნარება? არა და არა! და ჩვენც შეურიგებელად ვებრძვით იმათ, ვინც მოლიპულ გზას ადგება. მათი შეწყნარება არ იქნება.

მაგალითად, იძულებული გავხდით სამუშაოდან მოგვეხსნა და პარტიიდან გაგვერიცხა თელავის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ა. მარგალიტაშვილი. იგი რესპუბლიკაში ცნობილი კაცია, განთქმული კოლეგიურნეობის ძალზე კარგი თავმჯდომარე იყო, მაგრამ ახალ თანამდებობაზე უპატიოსნო გზით დიდების მოხვეჭის ცდუნებას ვერ გაუძლო, ჰოდა, პასუხიც აგო: ძველმა დამსახურებამ სამართლიანი სასჯელისგან ვერ იხსნა. ახლა წამატებების საკითხებს რესპუბლიკის პროკურატურა იძიებს.

— კრიტიკისადმი, განსაკუთრებით ქვემოდან კრიტიკისადმი ხელმძღვანელის დამოკიდებულება... „პრავდაში“ მოსულ წერილებში ბევრი აზრი და ფაქტია ამ თემაზე. რას ეტყოდით ამ წერილების ავტორებს თქვენი პირადი გამოცდილების თვალსაზრისით?

— უნდა ვისწავლოთ კრიტიკის სწორი აღქმა. ყველამ უნდა ვისწავლოთ. ბევრს ფსიქოლოგია ისეთია, რომ სხვებს აკრიტიკებს, თვითონ კი ხშირად მეტად მტკივნეულად რეაგირებს, როცა მას აკრიტიკებენ. არადა, უნაკლო ადამიანი ხომ არ არსებობს და მადლიერნი უნდა ვიყოთ, იმათი, ვინც ამ ნაკლს დაგვანახვებს, თითოეულ კოლექტივში ხელშემწყობი ატმოსფერო უნდა შეიქმნათ ჯანსაღ ამხანაგურ კრიტიკას.

შევეხები ისეთ კოლექტივს, როგორიც ჩვენი ცენტრალური კომიტეტის ბიუროა. მაინცდამაინც დიდად არ გვაკრიტიკებდნენ ხოლმე პლენუმებზე, არა იმიტომ, თითქოს ამის საფუძველი და საბაბი არ ყოფილიყოს. უბრალოდ, ასე იყო მიღებული, და აი, მაშინ, სამი წლის წინათ, გადაწყვიტეთ გაგვემართა ბიუროს სხდომა უდღისწესოდ, რათა ჩვენნაგ გაგვეანალიზებინა ჩვენი მუშაობა კრიტიკული თვალსაზრისით. გვეგონა საათ-ნახევარი გვეყოფოდა. გამოვიდა კი, რომ საღამოს ექვს საათზე დავიწყეთ და ღამის პირველ საათზე დავამთავრეთ. ეს იყო მეტად გულსახდილი და სასარგებლო სჯაბაასა, ვთქვით, რასაც ვფიქრობდით.

მას შემდეგ უდღისწესრიგო სხდომები ჩვენთან რეგულარული გახდა. მათზე მოთხოვნილება გაგვიჩნდა. წელიწადში ორ-ჯერ ვიკრიბებით საკუთარი მუშაობის პერსონალური გარჩევისათვის. და მოხსენებანი ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე ახლა ბიუროს წევრებისა და მდივნების მეტ თვითკრიტიკას შეიცავს, კამათიც უფრო კრიტიკულია ხოლმე. განსაკუთრებით დამახასიათებელია ამასწინანდელი პლენუმი, რომელზეც განვიხილეთ ანგარიში ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და სამდივნოს მუშაობის შესახებ.

კრიტიკა კურნავს ადამიანებს, გამოსწორებაში ეხმარება. მახსოვს, სერიოზული ნაკლოვანებანი გამოვავლინეთ პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივნის ბ. შინჯიაშვილის მუშაობაში. იგი მონდომებული, განათლებული კაცია, მაგრამ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს იღებდა, სუბიექტივისტურად უდგებოდა ზოგჯერ საკადრო საკითხებს. ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე ვუთხარით მას ყოველივე ის, რაც ჩვენ ვიცოდით. მაგრამ ამას როდი დავჯერდით. ბიურომ დამავალა ჩამეტარებინა რაიკომის პლენუმი. რა დამავიწყებს იმ საუბარს. გამოვიდა 25 კაცი — ძალიან პრინციპულად. მთავარი აზრი: ბევრი რამისათვის გკადთ პატივს, ამხანაგო რაიკომის პირველო მდივანო, მაგრამ ასე მუშაობა აღარ შეიძლებაო. როგორც ყველაფრიდან ჩანს, იგი სწორად მოეკიდა ამხანაგების კრიტიკას. ცვლილებები უკეთესობისაკენ უკვე ცხადია.

პრინციპული კრიტიკის ატმოსფერო, როგორც იტყვიან, პიროვნებათა მიუხედავად — ხელმძღვანელს რგებს. ეს უნდა გვესმოდეს. ასეთი ატმოსფერო ერთი ადგილის ტკეპნის საშუალებას არ იძლევა. მაშასადამე, საბოლოო ანგარიშით ჩვენი ავტორიტეტის სასარგებლოდ მუშაობს. და პირიქით, სადაც კრიტიკა არ არის, იქ საქმე აუცილებლად ჩიხში მოექცევა.

ამასთან დაკავშირებით მინდა შევეხო ისეთ საშიშ მოვლენას, როგორიცაა მოლიქნილობა. ჩემი აზრით, იგი ნაკლებად მავნე როდია, ვიდრე კრიტიკის ჩახშობა. რა საჭიროა ფიქრი და ძებნა, თუ მლიქნელის ბაგით ისედაც ყველაფერი მშვენივრადაა? ეს ბანგია სუსტი ადამიანებისათვის. ტკბილი სიტყვა ყურს კი ესალბუნება, მაგრამ ხელმძღვანელი მოვალეა გამოიჩინოს ნებისყოფა, რათა საგნებს თავისი სახელი უწოდოს, მლიქნელს უთხრას, მლიქნელი ხარო.

— ხელმძღვანელი, ისევე როგორც ყველა ადამიანი, შეიძლება შეცდეს. შეცდომის საჯარო აღიარება, თქვენი აზრით, ამცირებს თუ ამაღლებს მის ავტორიტეტს?

— რა თქმა უნდა, სჯობს რომ არ სცდებოდეს. მაგრამ ხალხს სწორად აქვს შენიშნული, რომ ამას მხოლოდ ის ახერხებს, ვინც არაფერს არ აკეთებს. ცხოვრება ცხოვრებაა, და მისი მრავალი სირთულის გამო შეცდომები, ვაი, რომ გამორიცხული არ არის. როგორ მოვიქცეთ, თუ შეცდეთ? მივაჩუმათოთ? ისეთი სახე მივიღოთ, თითქოს ეს ჩვენ არ გვეხება? არა, სხვაგვარად ვფიქრობ: ვცნოთ შეცდომა და ბოლშევიკურად პირდაპირ ვთქვათ ეს, რათა ნამდვილი ავტორიტეტი დავიმსახუროთ.

რამდენიმე ხნის წინათ სამუშაოდან მოიხსნა, პარტიიდან გაირიცხა და მსჯავრი დაედო რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრს ფ. ანანიაშვილს. უფრო ადრე, სამინისტროს შემოწმების შემდეგ, ცენტრალური კომიტეტის ბიუროს შემამფოთებელი სიგნალები მიიღო მის შესახებ. იყო წინადადებებიც ხელმძღვანელობისაგან მისი განთავისუფლების თაობაზე. მაგრამ მოსაზრებანი საკმარისად საფუძვლიანი არ მეჩვენა. თანაც ამ კაცს მრავალი წლის მანძილზე ვიცნობდი როგორც კვალიფიციურ, გამოცდილ მუშაკს. ერთი სიტყვით, გამოვექომაგე, და, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ძალზე შევმცდარვარ. იძულებული გავხდი ეს მეღიარებინა ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და აქტივის კრების ტრიბუნიდან.

— რას გძენთ თქვენ, როგორც ხელმძღვანელს, შეხვედრები მშრომელებთან, მათი წერილები?

— უამისოდ მუშაობა არ შეიძლება. ჩვენ შევეცადეთ რესპუბლიკაში შეგვექმნა სისტემა, რომელიც თითოეულ ხელმძღვანელს ავალდებულებს რეგულარულად ხვდებოდეს მშრომელებს, გამოდიოდეს მათ წინაშე, უპასუხებდეს მათ კითხვებს. მაგალითად, ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრი და სხვა პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელი მუშაკები უძღვებიან პარტსწავლების მეცადინეობას შრომითის კოლექტივებში. მეც მაქვს ასეთი დავალება: მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლას ვხელმძღვანელობ ელმავალსაშენებელ ქარხანაში. სკოლაში ოცდაათამდე მუშაა გაერთიანებული. ვცდილობ გავუზიარო მათ ჩემი ცოდნა, გამოცდილება. მაგრამ ისინიც ძალიან ბევრ რამეს მაძლევენ. მეცადინეობა ხომ უაღრესად გულახდილ ვითარებაში მიმდინარეობს: ხალხი ერთმანეთს უზიარებს იმას, რაც აწუხებს და აფიქრებს, გამოთქვამს წინადადებებს ჩვენი საერთო მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე. რა შეიდრება ასეთ უშუალო კონტაქტს?

სისტემატურად ვიღებ მშრომელებს, რეგულარულად ვკითხულობ ცენტრალურ კომიტეტში შემოსულ წერილებს. ესეც ცხოვრებასთან დამაკავშირებელი ძაფებია. მაგალითად, წერილებმა მიკარნახეს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე განხილვისათვის დამიყენებინა დიდი საკითხი — რესპუბლიკაში სამედიცინო მომსახურების მდგომარეობის შესახებ. წერილების მიხედვით განვიხილეთ ახალი, გლდანის რაიონის კეთილმოწყობის საკითხიც. ერთი სიტყვით, ასეთი მაგალითი ბევრია. მაგრამ აი რა მაწუხებს: ანალიზმა ცხადყო — ჩვენთან მოსული ფოსტის მხოლოდ 7 პროცენტი შეიცავს უშუალოდ ცენტრალური კომიტეტის კომპეტენციაში შემავალ საკითხებს. დანარჩენი 93 პროცენტი შეიძლება და კიდევაც უნდა წყდებოდეს ადგილზე. მაგრამ არ წყდება. რას მოწმობს ეს? რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ისე არ არის დაყენებული მუშაობა საჩივრებსა და განცხადებებზე, როგორც საჭიროა. იგი სერიოზულად უნდა გავაუმჯობესოთ.

— რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ახორციელებს გადაწყვეტილებათა ავტორიტეტის ამაღლების თანამიმდევრულ კურსს. ეს, რა თქმა უნდა, ხელმძღვანელი ორგანოების, თითოეული ხელმძღვანელის ავტორიტეტისათვის ზრუნვაც არის. რას გვეტყვით ამის თაობაზე?

— ყოველი გადაწყვეტილების ქმედითობას საბოლოო შედეგი განსაზღვრავს. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე რესპუბლიკის მრეწველობაში წარმოების მოცულობა ერთეორად, ხოლო სოფლის მეურნეობაში — ერთნახევარჯერ და მეტად გაიზარდა. 1971 წლიდან საქართველოს წილა ქვეყნის ეროვნულ შემოსავალში მილიარდობით მანეთით მოიმატა.

მაგრამ, როცა მიღწეულით ვხარობთ, უფრო მეტად ვფიქრობთ ახლანდელ პრობლემებზე, რომლებიც მასშტაბითაც დიდია და ფრიად რთულიც. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის პრინციპული დებულებანი, პლენუმისა, რომელიც შემობრუნების მომენტი, თვისებრივად ახალი ეტაპია ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებაში, ამხანაგი. ვ. ანდროპოვის ყველა ფუძემდებელი გამოსვლა მოითხოვს უფრო ღრმად მივუდგეთ დასახული ამოცანების გადაწყვეტას. ამისათვის საჭიროა მთელი ძალების თავმოყრა, იმის უნარი, რომ ვიმოქმედოთ ეფექტიანად, უფრო მტკიცედ ვამკვიდრებდეთ მუშაობის ლენინურ სტილს.

ცხოვრება გვასწავლის, რაოდენ ძნელია ავტორიტეტის მოპოვება. იგი დიდი შრომით მოდის, მაგრამ საკმარისია ერთი მცდარი ნაბიჯი, რომ დაკარგო. უნდა გვახსოვდეს ეს. თითოეულ ხელმძღვანელს უნდა ვუნერგავდეთ მაღალ პასუხისმგებლობას ადამიანთა წინაშე, რომელთა ხელმძღვანელობაც მას აქვს მინდობილი, პარტიისა და ხალხის წინაშე.

ხაუბარი ჩაიწერეს

ვ. კოტეშვილაკომ,
გ. ლებანიძემ.

(„პრავდის“ სპეც. კორ.).

„ПРАВДА“. 1983 წ. 14. V.

საქართველოს კოვპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

განაზოგადეს შეძენილი გამოცდილება

მრავალკალაენიანი, მრავალფეროვანია კონტროლის სისტემა სახელმწიფო და სამეურნეო მშენებლობის ყველა უბანზე. ეს არის პარტიული კონტროლი, სახელმწიფო კონტროლი, სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების განტოგებული ქსელი, კონტროლი, რომელსაც ახორციელებენ პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ეს არის სამინისტროებისა და უწყებების საკონტროლო-სარევიზიო ჯგუფები, ადმინისტრაციული ორგანოები. თითოეულს მუშაობის თავისი უბანი აქვს.

რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ უზარუნველყოთ მათი საქმიანობის ზუსტი კოორდინაცია, ავამაღლოთ კონტროლის მთელი სისტემის ეფექტიანობა და ამის საფუძველზე მივაღწიოთ საუკეთესო საბოლოო შედეგებს?

ამის შესახებ საქმიანი, კონკრეტული სჯა-ბაასი გაიმართა რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების საკონტროლო ორგანოების ხელმძღვანელობის, საკონტროლო-სარევიზიო სამსახურების პასუხისმგებელი შემსრულებლების თაობის-სემინარზე. მისი ჩატარება ნაკარნახევია იმ დიდი და სერიოზული ამოცანებით, რომლებიც დასახეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად კონტროლის შემდგომი სრულყოფისა და შესრულების შემოწმების შესახებ“.

თაობარ-სემინარზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ ხანს საკონტროლო ორგანოებმა გააუმჯობესეს მუშაობა, გარკვეულ ინტერესს იწვევს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის საკონტროლო მუშაობის პრაქტიკა, რომელიც უნარიანად უთავსებს ერთმანეთს კონტროლის ორგანიზატორულ და აღმზრდელობითს ფუნქციებს, საბოლოო შედეგებს აღწევს ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში, ხელმძღვანელი კომუნისტების პასუხისმგებლობის ამაღლებაში მათს საქვეუწყებო ორგანიზაციებში საქმის მდგომარეობისათვის.

ამასთან ერთად თათბირ-სემინარის მონაწილეებმა ილაპარაკეს ადგილებზე საკონტროლო მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე. ჯერ კიდევ ბევათი როდია შემთხვევები, როცა საქმე ბოლომდე არ მიჰყავთ, არის წამატებების, პროდუქციის მიწოდებაში საწელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის ფაქტები. თათბირ-სემინარზე მთელი პრინციპულობით დაისვა საკითხი, რომ გიიზარდოს პირველადი პარტიული ორგანიზაციების, მათი საკონტროლო კომისიების როლი ადმინისტრაციის პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობისადმი. ამოცანა კონკრეტულად დაისვა: გავაქტიურეთ საკონტროლო ორგანოების მუშაობა ძირეულ რგოლებში, მივაღწიოთ კონტროლის შ



სამზრეო სახელოები

თავმჯდომარე

იმ ღამით ლენინგორის რაიონის სოფელ უკანა მხარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვანო ჩიტაშვილს თვალი არ მოუხუჭავს. თვალგახელილი იწვა და ფიქრობდა. გეგა ბითაროვი, რომან ჩიტაშვილი, თემურ მანჯიკაშვილი, ბადრი თებელაშვილი, ვალოდია შიუკაშვილი საკენ მიუხდებიან, აგრიალონ მანქანები ზელიონი არტიზანსა და ბინებს შორის. გეგას თქმისა არ იყოს, მანძილი სულ ცოტა 70-80 კილომეტრი იქნება. მერე რა გზა... ფერმის გამგე ალექსი ბაშარული და ზოოტექნიკოსი თამაზ ჩიტაშვილიც გაჰყვებიან. იქაც წამოუკრავენ საქმეზე ხელს და გზაზეც... თუ ღმერთი გაწყრა და საბურავმა, ანდა ძრავმა უღალატათ, მწყემსები აქვე დარჩებიან ცხვრათან. რაც თავი გვაქვს გადმოტანილი, ჯერ ის უნდა გამოვუზოგოთ მოქმერნედ. ეს რა წუწკალი ზამთარი დადგა, ბევრი თავსატეხი გაგვიჩნდება!.. ირიფრაცა თუ არა, ვანო ჩიტაშვილმა მატყლის თბილი საბანი მოისროლა.

— ხალხნო, გძინავთ?

არავისაც არ ეძინა. ბადრი თებელაშვილი მთქნარებით წამოდგა.

— გათენებულა და ესაა.

თავმჯდომარემ ლოგინიდან ფეხები გადმოაწყო.

— ყური მიგდეთ, დღეს ახე გავანაწილოთ საქმე...

გვიან ღამით ყველანი ისევ მობრუნდნენ ბინებში. ვანო ჩიტაშვილმა გათოშილი ხელები ცეცხლს მიუშვირა. იმ დღის შრომით კმაყოფილი იყო. თავა ბლომად დაზვინეს სადგომებთან.

— ახა, მწყემსებო, ბარაქალა თქვენა, დილიდან პირში ლუკმა არ ჩამსვლია. თქვენ იცით, მშიერს თუ არ დამაწვენთ.

ყიდასამ ჩაიცინა. შოთამ დაბალი მაგიდა გაშალა და თეფშებიც უმალ ჩამოართგა. მერე გაჩსაკუნდა დანა და ჩანგალი, საუბარიც ბვალინდელ დღეზე, ნოღაის ხუსხიან ზამთარზე და ცხვარ-ბატკნის სატკივარზე აეწყო.

ის მწყარე და ზანტი ზამთარიც მიიწურა. თავმჯდომარე ღამით ალექსი ბაგარაულმა წამოაგდო.

— ვანოო, ადე, ვანო! დოლია, დოლი.

ალექსის თოვლივით თეთრი თოთო ბატკანი გულზე მიეხუტებინა და განიერ ბინაში გვარიან დავლურს უვლიდა.

თავმჯდომარე ლოგინში წამოჯდა.

— ბიეო, ხომ არ შეიშალე? ეს საცოდავი მიუყვანე დედას! გაიგე?

ალექსი ისევ უვლიდა და გაჰყვიროდა.

— დოლია, დოლია! გვემრავლოს ბატკანი!

ხაჩვილე-ხაბატკნები რომ ჩავიდნენ და იქაურობა გაბრდღვიალეს, უმალ კიკინი შემოესმათ. აქა-იქ დედა ცხვრის გვერდით ახალდაბადებული ბატკნებიც ჩანდნენ.

თავმჯდომარეს გაეცინა.

— ესეც ახე, დოლიც დაიწყო, ახლა კიდევ უნდა ვიმარჯვოთ. ვიმარჯვოთ და მერე როგორ...

უკანამხარელებმა მართლაც იმარჯვეს. ნაცვლად ოთხმოცდა ხუთი პროცენტისა ოთხმოცდაათი პროცენტი ნამატი შეინარჩუნეს.

ეის არ დაფასებია ალალი და მართალი გარჯა. უკანამხარელებსაც დაუფასდათ. 1982 წელს შრომაში მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისათვის მათ მეხუთედ გადაეცათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ზეიმი იყო უკანამხარეში, ზეიმობდა მთელი ქსნის ხეობა. თავმჯდომარე ვანო ჩიტაშვილი კი ახალ გეგმებს აწყობდა.

საუბარი ქსნის ხეობაში

— ვანო, როგორც ვიცი, თქვენ პედაგოგი ბრძანდებით. ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი გაქვთ დამთავრებული. რა ბოხდა ისეთი, რამაც პროფესია შეგაცვლევინათ.

— მასწავლებლობა ფრიად საპატიო საქმეა, მაგრამ მე, როგორც ვფიქრობ, გლეხად დაბადებული კაცი ვარ. არაფერი არ მიტაცებს ისე, როგორც დალოცვილი მიწა, ცელი და ცხვარი, ბიბინა იალაღები... მასწავლებლობის დროსაც ყანჩავეთის სკოლაში თვალი მიწისაკენ გამირბოდა. თავისუფალ დროს მხარში ვედექი კოლმეურნეებს, მათთან ვიყავი. არდადეგებზე ხამჯერ ყინლარშიც კი ვასხდი. მერე ის იყო, მეძროხეობის ფერმის საკვებმომპოვებელთა ხელმძღვანელობა შემომთავაზეს და უარი არ მითქვამს. ასე შემეცალა პროფესია. ახლა უკვე კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვარ.

— რამდენი ხანია?

— უკვე სამი წელია.

— რას მიიჩნევთ ყველაზე მნიშვნელოვნად, რაც თქვენ ამ ხნის განმავლობაში კოლმეურნეებთან ერთად გაკეთეთ?

— საკავშირო გარდამავალი დროშის უკანამხარის კოლმეურნეობაში დაბრუნებას.

დავიწყოთ თავიდან. ჩვენი კოლმეურნეობა ტრადიციულად ყოველთვის ძლიერი იყო, მაგრამ ამ ოთხოდე წლის წინათ საქმე ისე ვერ აეწყო და გარდამავალი დროშა ლარგვისელებმა წაიღეს. სოფელი ამან ძლიერ შეაფიქრიანა. სწორედ ამ დროს თავმჯდომარედ მე ამირჩიეს. მაშინვე მივხვდი ხალხის სურვილს, იმაშიაც დავრწმუნდი, შრომის კარგი ორგანიზაციით დიდი წარმატებების მიღწევა რომ შეიძლებოდა. ჯერ იყო ტის ბოლოს ბოლოს ბალახი ბალახის ეს ზოლი ისე შემეცინა, ჩვენს ცხვარს არ ყოფნის. მშიერი ცხვარი კი ამოდენა ტრასას როგორ გაიკლის!

საჭიროა სათანადო ორგანიზაციებმა ამას მიაქციონ ყურადღება. ისიც უნდა ითქვას, რომ ნოღაის ველზე კვლავე და კვლავ დგას წყლის პრობლემა. არტეზიული ჭის გაჭრა ძლიერ გაძნელდა. ზოგჯერ ჭაში წყალი ერთ-ორ წელიწადში ისევ ქრება, რაღაც უნდა ვიღონოთ, რომ წყალი საკმარისად გვქონდეს.

ბოლოს კიდევ ერთი რამ. მეცხვარის შრომა ძნელი და მომჭირნეველია, ბევრ ფიფათანაცაა დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, ცხვარში მოდის და მოდის ახალი თაობა. მათ მამაცურ შრომას მე მგონი, მეტი დაფასება უნდა.

როდამ ჩაჩანიძე.

საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის **კორნელი სანაძის** ნახატი.

ქიწინისელთა მეთოდ-კაბინეტში

გორი. (საკ. კორ.). უკვე ერთი წელია რაც ქიწინისის საბჭოთა მეურნეობაში პირველადი პარტიული ორგანიზაციის მეთოდიკური კაბინეტი მოქმედებს.

— ჩვენი კაბინეტი, — ამბობს მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი გ. ნოჯაშვილი, — ამ ხნის მანძილზე სკკპ რიგებში შემსვლელებთან, ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის საინტერესო რგოლად გადაიქცა.

მართლაც, შინაარსიანი და მრავალფეროვანია მეთოდიკური კაბინეტის მუშაობა. პირველადი პარტორგანიზაცია პარტიის ორგანიზაციული წყობის სისტემაში ზომ ძირითადი რგოლია და, ბუნებრივია, რომ კაბინეტში გამოფენილი სტენდები და დიაგრამები მასზე ბევრს მოგვითხრობენ, პარტიის ორგანიზაციულ სტრუქტურას გვაცნობენ. გამოფენის სხვა თვალსაჩინოებანი გვაუწყებენ, თუ როგორ განვითარდა და განმტკიცდა უკანასკნელ წლებში მეურნეობის ეკონომიკა, როგორ გაიზარდა კომუნისტების, პარტორგანიზაციათა გავლენა კოლექტივის სამეურნეო საქმეებზე.

მეთოდიკურ კაბინეტში მოსულ კომუნისტებს საშუალება აქვთ გაეცნონ მეურნეობის სასურსათო პროგრამას, მისი განხორციელებისათვის დასახულ ღონისძიებებს. ამ მხრივ მათ დიდად დაეხმარებათ ლიტერატურა, რომელიც აქვეა გამოფენილი.

კაბინეტის მორიგე-კონსულტანტები, პარტიული კომიტეტის წევრები ხშირად ხვდებიან აქ ახალგაზრდა კომუნისტებს, ესაუბრებიან მათთვის საინტერესო საკითხებზე.

ამას წინათ მეთოდიკურ კაბინეტში სტუმრად იყვნენ მცხეთის რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები. ისინი გაეცნენ ქიწინისელი კომუნისტების მეთოდკაბინეტის მუშაობას. სტუმრებმა და მასპინძლებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი პარტორგანიზაციებში ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის საკითხებზე.



11 მაისიდან „87“ ინდექსიანი ავტომატური სატელეფონო სადგურები გადართეს ახალ მოწყობილობაზე, რომელიც თბილისში ლენინგრადელებმა გამოგზავნეს, თავისი კონსტრუქციით „87“ ავტომატურ სატელეფონო სადგურს, ისევე როგორც „84“ ავტომატურ სატელეფონო სადგურს აქვს თავისებურება, რაც იმით გამოიხატება რომ ზუმერი, სადგურის პასუხი და გამოძახების სიგნალი 30 წამამდე იგვიანებს. კავშირგაბმულობის მუშაკთა რვა ბრიგადა პირობას დებს, რომ მაისის დამლევისათვის დამთავრდება სადგურის გადართვა, რომელმაც დაიკავა ახალი ხუთსართულიანი შენობა იოსებიძის ქუჩაზე.

სურათზე: „87“ ავტომატური სატელეფონო სადგურის უფროსი ადა შიპიცინა, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს სატელეფონო კავშირის სამმართველოს უფროსი ნოე ჯიქია და თბილისის საქალაქო ტელეფონის ქსელის მთავარი ინჟინერი შოთა კოლელიშვილი აზუსტებენ ძველი ავტომატური სადგურის ახალ მოწყობილობაზე გადართვის გრაფიკს.

გ. კირკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

უბედურებაში მარტო არ დარჩენილან

ასეთი რამ ძალზე იშვიათად ხდება. მაგრამ ადამიანებმა — იმათაც, ვინც დაშავდა, იმათაც, ვინც უბედურების უნებლიე მოწმე გახდა, თავდაჭერილობა და უდიდესი გულისხმიერება გამოიჩინეს, აღკვეთეს კიდევ უფრო დიდი უბედურება.

— ეს სწორედ ის შემთხვევაა, რომელზეც ამბობენ „მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნაო“. რაღაც ნახევარ საათში ცა მოიქუფრა და თქეში წამოვიდა. ბოლნისის რაიონის სოფელ ქოლაგირის ახლოს ყანაში მომუშავე ადამიანებმა თავი შეაფარეს დიდ თუთის ხეს. ეს იყო განახლების საბჭოთა მეურნეობის ბრიკტოფილეთა ბრიგადა. ამ ბრიგადაში ოცდასამი ქალი და მხოლოდ ერთი მამაკაცია — ბრიგადირი, 50 წლის ასლან აბასოვი, რომელმაც არმიის მკაცრი სკოლა გაიარა, საზრიანი, ცხოვრების გამოცდილებით დაბრძენებული კაცია. ტრაგიკული ამბების დროს სწორედ მან დაიწყო პირველმა ამხანაგების გადარჩენა.

ხეს წამოდებულმა გავარდნილმა სფერულმა მეხმა მიმოფანტა ხალხი. ცეცხლოვანი სფეროთი დაშავებულმა ბრიგადირმა მაინც შეძლო პირველი დახმარება აღმოეჩინა მეხით დაშავებული ამხანაგებისათვის.

— ჩვეულებრივ ელექტრობით დაშავებისას წყდება სუნთქვა, — გვითხრა ბრიგადირმა, — რომელიც ოდნავ წამოიწია საწოლიდან. — ამ მომენტში ძალზე მნიშვნელოვანია შეკრული კრიჭა გაუხსნა უგონოდ მყოფ დაშავებულს, რომ ენა არ გადაყლაპოს. ეს მაშინვე გამახსენდა: ასეთი რამ მოხდა, ჯარში რომ ვიყავი, და გვასწავლეს, როგორ მოვქცეულიყავით...

თხუთმეტ წუთში, როცა ტრაგედიის ადგილას მოვიდნენ მეზობელ ნაკვეთებზე მომუშავე საბჭოთა მეურნეობის მუშები, რომლებმაც დაინახეს სფერული მეხის გავარდნა, აბასოვს უკვე მოესწრო სულ ცოტა ათი ქალისათვის გაეწია დახმარება.

იქვე ტრასაზე მიმავალი ყოველი ძმოლი ეხმარებოდა შეკრებილ ხალხს და საავადმყოფოში მიჰყავდა დაშავებულები, — თქვა საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა პეტრე ბუდაგოვმა. — არ ვიცით მათი სახელები, მაგრამ გვინდა ყველას დიდი მადლობა გადავუხადოთ. სწორედ ეს არის ნამდვილი მეგობრობა, ნამდვილი ზრუნვა და ყურადღება ახლობლებისადმი.

ამასობაში კი, როცა დაშავებულები მოიყვანეს მარნეულის საავადმყოფოში, რომელიც შემოხვევის ადგილიდან ხუთ კილომეტრზეა, პარტიის ბოლნისის რაიკომის პირველი მდივანი თეიმურაზ ხაზარაძე თბილისს დაუკავშირდა. მის თხოვნას, დახმარება გაეწიათ, მაშინვე გამოეხმაურნენ ჯანმრთელობის დაცვის და ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროების, რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელები.

უბედურება 12 მაისს დღის 3 საათზე დატრიალდა. მალე კი მარნეულის საავადმყოფოში თბილისიდან ჩამოვიდა მედიკამენტებით, სამკურნალო აპარატურით აღჭურვილ ექიმთა ჯგუფი. ესენი იყვნენ ნევროპათოლოგები, ნეიროქირურგები, ქირურგები, ტრავმატოლოგები...

— ოპერატიულად განხორციელებული ღონისძიებების მეშვეობით მრავალი ადამიანი გადარჩა, — თქვა დედაქალაქიდან ჩამოსულ მედიკოსთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ირაკლი მენაღარიშვილმა. ყველა დაშავებულს საგულდაგულო მეთვალყურეობას უწევენ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წამყვანი სპეციალისტები.

— ყურადღებას არ მოვაკლებთ დაშავებულთა ოჯახებს, — მტკიცედ ამბობს საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი ისპან ნამაზოვი, რომელიც იმ საღამოს მოვიდა საავადმყოფოში თანასოფლელთა სანახავად, — მამაკაცები საკარმიდამო ნაკვეთების მოვლაში დაეხმარებიან, ქალები კი საოჯახო საქმეებში. ბავშვების აღზრდა ჩვენი საერთო ვალია.

— არც რაიონი გადგება გვერდზე, — დასძინა პარტიის ბოლნისის რაიკომის პირველმა მდივანმა თეიმურაზ ხაზარაძემ. — გაიმართა პარტიის რაიკომის ბიუროსა და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის გაერთიანებული სხდომა, რომელზეც გადაწყდა რაიაღმასკომისა და რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ფონდებიდან ყველა დაშავებულის ოჯახს გამოვუყოთ მნიშვნელოვანი მატერიალური სახსრები. ეს, ცხადია, — სოციალური უზრუნველყოფის ორგანოთა შესაბამისი დახმარების გარდა.

— ჩვენ კი, — თქვა ამ ამბავთან დაკავშირებით ბოლნისში ჩამოსულმა საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის მინისტრმა თენგიზ ჯაბადარმა, — სამინისტროს სახსრებიდან ამ მიზნებისათვის მნიშვნელოვან თანხას გამოვყოფთ.

მაგრამ მომხდარ უბედურებაში ეს როდია ყველაზე მთავარი. მთავარია მუდმივი ადამიანური გულისხმიერება. ამ სტრიქონების ავტორებმა ნახეს, თუ როგორ მიდიოდნენ საავადმყოფოში თავიანთ ამხანაგებთან ადამიანები, მიდიოდნენ სანუგეშო სიტყვებით, სთავაზობდნენ ყოველნაირ დახმარებას.

— ჩვენს პაციენტებს ასეთი გულისხმიერება წამლებზე ნაკლებ როდი შველის, — თქვა გუერამ გვიდიანმა, ბოლნისის რაიონის საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა, სადაც მარნეულიდან ჩამოიყვანეს დაშავებულთა უმრავლესობა. — უშუალო საფრთხემ ჩაიარა, ახლა მთავარია მოსალოდნელი გართულებები ავიცილოთ თავიდან.

დიდ ყურადღებას იჩენენ არა მარტო ბოლნისის, არამედ მარნეულის საავადმყოფოს მედიკოსებიც, სადაც დარჩა სხვებზე მეტად დაშავებული რამდენიმე ქალი. თამაშა ყულიევა ფეხმძიმედ არის, მაგრამ ექიმები დარწმუნებული არიან, რომ დედის ტრავმები გავლენას არ მოახდენს მომავალ ჩვილზე.

ძმა ძმისთვინაო, შავი დღისთვინაო, უთქვამს ხალხს. და ეს ჩვენი სინამდვილის, ჩვენი ცხოვრების ნორმად იქცა. უბედურება რაზმავს ყველას, ავლენს საბჭოთა ადამიანისათვის დამახასიათებელ ისეთ ნიშნებს, როგორიცაა მზადყოფნა ყოველგვარ სიტუაციაში დახმარების ხელი გაუწიო ახლობელს, მხარში ამოუდგე მას. სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის, სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს, რომლებიც ასე თუ ისე ეხმარებოდნენ დაშავებულთ, დავუსვით ერთი და იგივე კითხვა: „რატომ მოიქეცით ასე?“ და ყველა გაოცებული ამბობდა, სხვაგვარად როგორ იქნებოო?..

* * *

რედაქციისაგან: ბოლნისის რაიონში მომხდარი შემთხვევა იშვიათია. მაგრამ იგი შეიძლება გამეორდეს ნებისმიერ სხვა ადგილას, განსაკუთრებით ახლა, გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში. საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის საამართველოს უფროსის მოადგილეს ვახტანგ ცხადაძეს ვთხოვეთ ერჩია, რა უნდა ქნას კაცმა, როცა მეხი ჩამოვარდება ტრიალ მინდორში.

— ისეთი მოვლენა, როგორიცაა სფერული მეხი, — თქვა ვახტანგ ცხადაძემ, — ჯერ კიდევ ნაკლებად არის შესწავლილი და კონკრეტული რეკომენდაციების მიცემა აქ, ცოტა არ იყოს, ძნელია. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ სფერული მეხი და მისით გამოწვეული დაშავება განსაკუთრებული მოვლენაა, ხოლო ჩვეულებრივი მეხით ადამიანები უფრო ხშირად შავდებიან. თუ ეკენქა-ქუხილმა ტრიალ მინდორში მოგასწროთ, არავითარ შემთხვევაში არ შეეფაროთ ხეს. უნდა მონახოთ რაიმე, თუნდაც დამრეცი ღრმული, ჩაწვეთ იქ და მოიხსნათ ყველა ლითონის ნივთი, ამასთან ეცადოთ არ გაინძრეთ.

კიდევ ერთი ცნობა, რომელიც გამოადგებათ მინდერეფნისა და პლანტაციების მშრომელებს, ყველას, ვინც გაშლილ ადგილას მუშაობს. რესპუბლიკაში მრავალი წლის მეტეოროლოგიური დაკვირვების მონაცემებით ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში (კახეთის გარდა) ელეზე მეხი მოსალოდნელია დღისით 14-დან 16 საათამდე, მთაში — 15-დან 18 საათამდე, ზოგჯერ კი 19 საათამდეც, კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე — უმეტესად ღამით. ადგილმდებარეობის აღნიშნული თავისებურებების შესაბამისად ამ პერიოდში განსაკუთრებული სიფხიზლეა საჭირო.

საქინფორმის სპეციკორესპონდენტები.

ქუთაისური აბრეშუმი

700 ქალს შეუძლია ლამაზი კაბა შეიკეროს ქსოვილებისაგან, რომლებიც მიმდინარე წლის დამდეგიდან ნეგეგმით გამოუშვა ქუთაისის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავის სახელობის აბრეშუმის საწარმო გაერთიანების მქსოველმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ციური დეკანოიძემ.

სურათზე: მოწინავე მქსოველი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ციური დეკანოიძე.

გ. ბერსამიას ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მესამე ზრომითი სემესტრი:

კიდევ უფრო მეტად განვავი-თარეთ მიღწეული წარმატებები

(დასასრული)

იურად დაუჭირა მხარი აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტთა მმართველს, რომლებმაც რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობას მოუწოდეს მიიღონ მონაწილეობა საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში. რესპუბლიკაში სტუდენტთა საშენებლო რაზმების პრინციპების საფუძველზე ჩამოყალიბდა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა და ტექნიკუმების მოსწავლეთა ექვსიათასიანი რაზმი, რომელმაც დიდი მოცულობის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები შეასრულა.

სტუდენტთა და მოსწავლეთა რაზმების საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, იდეურ-პროპაგანდისტულ, სამეფო, კულტურულ-მასობრივ და სპორტულ გამაჯანსაღებელ მუშაობას. მოწონების ღირსია სახტელერადიოსა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების მუშაობა შრომითი რაზმებისა და გაერთიანებების საქმიანობის გაშუქებისათვის.

ამასთანავე 1982 წლის ზაფხულ-შემოდგომის პერიოდში სტუდენტთა რაზმებისა და უფროსკლასელთა შრომითი გაერთიანებების მუშაობის შედეგების ანალიზმა არსებითი ნაკლოვანებებიც გამოავლინა. აღმოჩნდა, რომ ყოველთვის ჯეროვანი პასუხისმგებლობით არ ეკიდებოდნენ სტუდენტთა გამსვლელი რაზმების მომზადებას, ხელმძღვანელი შემადგენლობის შერჩევას.

შრომითი სემესტრის მაღალ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ დონეზე წარმართვას აბრკოლებდა ზოგიერთი მიმდები ორგანიზაციის ხელმძღვანელთა პოზიცია, რომლებიც ყოველნაირად აყოვნებდნენ სტუდენტთა და უფროსკლასელთა შრომითს გაერთიანებებთან ხელშეკრულებების დადებას. ისევე როგორც წინა წელს, ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა ვერ შეძლეს შრომითი გაერთიანებების მონაწილე უფროსკლასელთა მიღება სამუშაოთა ფრონტისა და შესაბამისი საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების უქონლობის გამო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საქმიანობა 1982 წლის შრომითი ზაფხულისა და საშემოდგომო მოსავლის აღების სამუშაოების პერიოდში რესპუბლიკის სტუდენტთა რაზმებისა და უფროსკლასელთა შრომითი გაერთიანებების მუშაობის ორგანიზაციისათვის, შრომისა და დასვენების საჭირო პირობების შექმნისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზი გაუსვა სტუდენტთა რაზმებისა და რესპუბლიკის სასწავლებლების მოსწავლეთა გაერთიანებების მუშაობის დიდ სახალხო-სამეურნეო, სახელმწიფო და პოლიტიკურ მნიშვნელობას, და გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები, საქართველოს პროფსაბჭოს, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, განათლების სამინისტროს, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკის დარგობრივ სამინისტროებსა და უწყებებს, სამეურნეო ორგანიზაციებს, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელებს, პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ ორგანიზაციებს დაეალათ განახორციელონ ღონისძიებანი საზაფხულო და საშემოდგომო მოსავლის აღების სამუშაოთა ხარისხოვანი ორგანიზაციისა და ეფექტიანი მოწყობისათვის.

სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, სამეურნეო მუშაკები, პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების მდივნები გაფრთხილებული არიან, რომ მათ პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ ადგილებზე სტუდენტთა რაზმებისა და მოსწავლეთა გაერთიანებების მუშაობის ორგანიზაციისათვის, შრომისა და დასვენების საჭირო პირობების შექმნისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზი გაუსვა სტუდენტთა რაზმებისა და რესპუბლიკის სასწავლებლების მოსწავლეთა გაერთიანებების მუშაობის დიდ სახალხო-სამეურნეო, სახელმწიფო და პოლიტიკურ მნიშვნელობას, ესაუბრებიან მათთვის საინტერესო საკითხებზე.

ამას წინათ მეთოდიკურ კაბინეტში სტუმრად იყვნენ მცხეთის რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები. ისინი გაეცნენ ქიწინისელი კომუნისტების მეთოდკაბინეტის მუშაობას. სტუმრებმა და მასპინძლებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი პარტორგანიზაციებში ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის საკითხებზე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ახალი შევსება

18 მაისს გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება, რომელიც მიეძღვნა აკადემიის ახალი ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების არჩევნებს.

საერთო კრებას წინ უძღოდა კრებები რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ცხრა განყოფილებაში, რომლებზეც ფარული ქენჭისყრით აირჩიეს აკადემიის ნამდვილი წევრობისა და წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატები. ესენი არიან მათემატიკისა და ფიზიკის, ბიოლოგიის, გეოფიზიკისა და გეოგრაფიის, მართვის სისტემებისა და სამშენებლო მექანიკის, სამთო მეცნიერების, ხელსაწყოთმშენებლობის, არაორგანული ქიმიის, ქიმიური ფიზიკის, ტექნიკური ელექტროქიმიის და ბიოორგანული ქიმიის, მცენარეთა ფიზიოლოგიის, განვითარების ბიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის, ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის, ვირუსოლოგიისა და ციტოლოგიის, სკკპ ისტორიისა და მეცნიერული კომუნიზმის თეორიის, ფილოსოფიის, საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, კავკასიის ეთნოგრაფიის, ლიტერატურათმცოდნეობის დარგის თვალსაჩინო მეცნიერები.

სამეცნიერო განყოფილებათა აკადემიკოს-მდივნებმა საერთო კრების მონაწილეებს მოახსენეს განყოფილებებში გამართული არჩევნების შედეგები და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრობისა და წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატებს რეკომენდაციები მისცეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში არჩევისათვის.

ფარული ქენჭისყრის შედეგად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ აირჩია რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის 9 ახალი ნამდვილი წევრი და 23 წევრ-კორესპონდენტი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებად აირჩიეს.

მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება

გ. ა. ხარაძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; **ბ. ვ. ხვედელიძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილება

ე. ა. სეხნიაშვილი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; **ვ. კ. ჰიტინაძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ბიოლოგიის განყოფილება

გ. ა. ხანაძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილება

თ. კ. იოსელიანი — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება

ა. მ. აფაქიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; **ლ. ე. გორგილაძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ენისა და ლიტერატურის განყოფილება

ე. პ. მეტრეველი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს:

მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება

ლ. ლ. ბუაშვილი — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **ხ. ნ. ინასარიძე** — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი.

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება

მ. ა. ალექსიძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **ე. პ. გამყრელიძე**— გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი; **ვ. შ. ჯაოშვილი** — გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილება

ი. ი. ზურაბიშვილი — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **მ. ე. ხალუკვაძე** — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **ზ. ე. ყრუაშვილი** — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილება

რ. რ. დოღონაძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **გ. ვ. ცინცაძე** — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **ლ. ნ. ჯაფარიძე** — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ბიოლოგიის განყოფილება

გ. დ. თუმანიშვილი — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **გ. ი. კვესიტაძე** — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; **რ. მ. ლაღიძე** — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილება

ვ. ი. ბახუტაშვილი — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **თ. ი. დეკანოიძე** — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება

ი. მ. კაბარავა — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **მ. დ. ლორთქიფანიძე** — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **ა. ი. როხაჭიძე** — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **დ. ა. ხახუტაიშვილი** — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი; **ა. ი. ჯავახიშვილი** — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი; **ო. ი. ჯიოევი** — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი.

ენისა და ლიტერატურის განყოფილება

ხ. ხ. ცაიშვილი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

რესპუბლიკის რაიონებში 1983 წლის იანვარ-აპრილში მრეწველობის ძირითადი მაჩვენებლების გეგმის შესრულების შესახებ

	გეგმის შესრულების %-ში		
	პროდუქციის რეალიზაციის	სასაქონლო პროდუქციის	სასაქონლო პროდუქციის მოცულობა 1982 წლის იანვარ-აპრილთან შედარებით
აბაშის	109,0	108,2	108,2
ადიგენის	100,9	111,6	399,5
ამბროლაურის	99,3	101,4	94,6
ასპინძის	115,0	100,2	81,3
ახალქალაქის	106,0	105,3	114,4
ახალციხის	99,8	98,8	118,7

14 მაისი

ყველაზე

ფაქტები
მოვლენები
საკვლევი
იუწყება

ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა!

საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა

„საქართველოს მშვიდობის მომხრენი მხარს უჭერენ გულახდილ და მეგობრულ დიალოგს ყველასთან, ვინც იწყებს ბრძოლას ბირთვული ხანძრის საფრთხის წინააღმდეგ. მთლიანად ვსოლიდარობთ ამ ბრძოლას და მოვუწოდებთ ყველას მშვიდობის შენარჩუნების მიზნით უფაფართოესი და ეფექტიანი თანამშრომლობისათვის. დღეს ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა!" — ეს მოწოდება გაისმა საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე. იგი მიეძღვნა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობისათვის მოქმედების კვირეულს, რომელიც ეაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული განიარაღების მსოფლიო კამპანიის ფარგლებში იმართება.

— ჩვენს პლანეტაზე აფეთქებასაშიში ვითარება გამოიწვია ავანტიურისტულმა, თავისი არსით არაადამიანურმა პოლიტიკამ, რომელსაც ახორციელებენ იმპერიალისტური წრეები და უწინარესად ამერიკის შეერთებული შტატებისა, რომლებმაც შეუკავებელი გამალებული შეიარაღება გააჩაღეს. კაცობრიობა არასოდეს არ ყოფილა ასე ახლო თერმობირთვულ კატასტროფასთან, ქვეყნად სიცოცხლის სრულ მოსპობასთან, — თქვა თავის გამოსვლაში მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ პროფესორმა ა. ალექსიძემ. და ამავე დროს, არასოდეს ყოფილა ასე მძლავრი მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა, რომელმაც მთელი პლანეტა მოიცვა.

სხდომაზე აღინიშნა, რომ საქართველოს მშვიდობის მომხრეებმა მნიშვნელოვნად გააქტიურეს თავიანთი მოქმედება ბოლო წლებში. ამას მოწმობს, მაგალითად, ის ფაქტი, რომ შარშან მშვიდობის საკავშირო ფონდში ჩვენმა რესპუბლიკამ მილიონ მანეთზე მეტი გადარიცხა.

საბჭოთა საქართველოს მშრომელები კვლავ იმაღლებენ ხმას გამალებული შეიარაღების ალაგმვისათვის. შრომითს კოლექტივებში ეწყობა დასავლეთ ევროპაში ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგების წინააღმდეგ მიმართული მიტინგები და მანიფესტაციები. ამ დღეებში ათასობით ადამიანი დადგა მშვიდობის ვახტზე.

სხდომის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭიროს მხარი საბჭოთა მთავრობის თანამიმდევრულ მშვიდობისმოყვარულ კურსს. მათ მთლიანად მოიწონეს საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის პრეზიდიუმის რეზოლუცია, რომელიც მთავრობესა და ხალხებს მოუწოდებს გამართონ მეგობრული დიალოგი ქვეყნად სიცოცხლის გადასარჩენად. (საქინფორმი).

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

მასლობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქინფორმის ფოტოინფორმაციის მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორი ამხ. ოთარ ალექსანდრეს ძე **თურქია** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

მასლობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის" რედაქტორი ამხ. ხუტა ვასილის ძე **ახალაია** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

გამოსამაურება

მოუწოდებენ გონიერებისაკენ

საკა ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის პასუხში გამოხატულია მშვიდობისაკენ საბჭოთა კავშირის ურყეველ სწრაფვა, განაცხადა ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფინეთის საზოგადოების თავმჯდომარემ **ე. პეკარინენმა.** თავისი მშვიდობისმოყვარული საგარეო-პოლიტიკური კურსის ერთგული სსრ კავშირი აყენებს სამშვიდობო ინიციატივებს, რომლებიც მილიონობით კეთილი ნების ადამიანს ბირთვული კატასტროფის საფრთხის თავიდან აცილების იმედს უსახავს. საბჭოთა კავშირმა იკისრა ვალდებულება პირველმა არ გამოიყენოს ბირთვული იარაღი. ახლა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს ჯერია მიბაძონ ამ მაგალითს.

„მაშინ, როცა ვაშინგტონში გაისმის გამალებული შეიარაღებისა და სამხედრო უპირატესობის მიღწევის მოწოდებანი, წერს **პოლონური „ტრიბუნა ლუდუ"**, მოსკოვში გაისმა გონიერებისა და კეთილი ნების ხმა, მოწოდება თავდად ავიცილოთ ბირთვული საშიშროება, მივაღწიოთ მორიგებას ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ, შევაჩეროთ გამალებული შეიარაღება.

სსრ კავშირის მოწოდებას, რომლის მიზანია მშვიდობა, ევროპაში ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი ზონების შექმნა, დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებისათვის, არამედ ევროპის ყველა სახელმწიფოსათვის. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა მხურვალედ უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ ინიციატივებს.

საბჭოთა ხელმძღვანელმა, აღინიშნავს გაზეთი **„ვაშინგტონ პოსტი"**, კვლავ წამოაყენა წინადადება შეთანხმდნენ ევროპაში თანაბარი ბირთვული პოტენციალების თაობაზე, როგორც მატარებლების, ისე ქობინების მხრივ, საბჭოთა კავშირი ისწრაფვის წინ წასწიოს ეენეგის მოლაპარაკება.

ბირთვული საშიშროების თავიდან აცილება სსრ კავშირის პოლიტიკის უმთავრესი მიმართულებაა. მშვიდობის განმტკიცების, განიარაღებისა და ბირთვული ომის თავიდან აცილების მიზნით საბჭოთა კავშირი მტკიცედ აყენებდა და კვლავ აყენებს კონსტრუქციულ სამშვიდობო ინიციატივებს. ახალთა ლაიტმოტივი ფართო გამოხმაურებებისა, რომლებიც მსოფლიოში გამოიწვია ფინეთის მთელ რიგ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების კითხვებზე ამბანავ ი. ვ. ანდროპოვის პასუხმა.

საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივებს მაღალი შეფასება მისცა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგში „მწვანეთა" პარტიის ფრაქციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **ო. შილმა.** მან განსაკუთრებით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის ვალდებულებას პირველმა არ გამოიყენოს ბირთვული იარაღი და გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატები მბიასთვის, რომ იგი უარს ამბობს ბაძოს სსრ კავშირის მაგალითს. ო. შილმა დაგმო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და დასავლეთ ევროპის მთელ რიგ სხვა ქვეყნებში ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგების გეგმები, რომლებიც, მისი თქმით, კიდევ უფრო დაიჩქარებს გამალებულ რაკეტულ-ბირთვულ შეიარაღებას და გაამწვავებს ომის ფსიქოზს.

ინგლისის „გარდიანს" მიაჩნია, რომ საბჭოთა კავშირის კონსტრუქციული პოზიცია მადრიდის შეხვედრაზე მისი წარმატებით დამთავრების შესაძლებლობას ქმნის.

დაბეჭდა რა ი. ვ. ანდროპოვის პასუხის შინაარსი, მეორე **ინგლისური გაზეთი „ტაიმსი"** აღნიშნავს, რომ სსრ კავშირს თანამიმდევრული პოზიცია უკავია ჩრდილოეთ ევროპაში უბირთვო ზონის შექმნის საკითხში.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკა მიზნად ისახავს ისსნას კაცობრიობა ომის საშინელებისაგან, ხაზს უსვამს **სირიის „ახ-საურა"**. საბჭოთა კავშირი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის საკითხებს როგორც ევროპაში, ისე მსოფლიო მასშტაბით.

საბჭოთა კავშირი, წერს **დელის „ჰინდუსტან ტაიმსი"**, აყენებს გამალებული შეიარაღების ალაგმვის ფორსგამზნულ წინადადებებს. ი. ვ. ანდროპოვის მიერ ჩამოყალიბებული ახალი საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივები, მათ შორის ის, რომ სსრ კავშირი მზად არის შეთანხმდეს ევროპაში თანაბარი ბირთვული პოტენციალების თაობაზე, როგორც მატარებლების, ისე ქობინების მხრივ, აგრეთვე წინადადება დაუყოვნებლივ აიკრძალოს ყველგან ბირთვული იარაღის ყოველგვარი საცდელი აფეთქება, მოწმობს, რომ მოსკოვი სერიოზულად ესწრაფვის მიაღწიოს რეალისტურ, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ინტერესების შესაბამის შეთანხმებას ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. სსრ კავშირი ახორციელებს მძლავრ სამშვიდობო შეტევას.

● სირია

თათბირი დამასკოში

დამასკო. სირიის დედაქალაქში გაიმართა არაბული ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელ ლიგა მოძრაობების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზეც ყოველმხრივ განიხილეს ვითარება რეგიონში ეგრეთ წოდებული „ლიბან-ისრაელის ხელშეკრულების" პროექტის გამოქვეყნების შემდეგ.

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს განცხადება. ლიბან-ისრაელის შეთანხმების პროექტი, ნათქვამია დოკუმენტში, მთლიანად ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს № 508 და 509 რეზოლუციებს, რომლებიც მოითხოვენ ლიბანდან ისრაელის ჯარების უპირობო გაყვანას.

განცხადება არაბ ხალხებს მოუწოდებს გააძლიერონ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის შეთქმულების წინააღმდეგ მოქმედება, მზარი დაუჭერონ სირიასა და ლიბანის ეროვნულ-პატრიოტულ ძალებს, რომლებიც განაგრძობენ ბრძოლას სიონისტ აგრესორებთან. არაბები მხოლოდ თავიანთი რიგების დარაზმვით შეძლებენ დაიცვან თავისუფლება და დამოუკიდებლობა. დოკუმენტი შეიცავს მოწოდებას ყოველმხრივ განამტკიცონ კავშირი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან: საბჭოთა კავშირის მეთაურობით, რომელიც არაბეთის ყველა ხალხის ერთგული მეგობარი და მოკავშირეა.

● ნიკარაგუა

გაანადგურეს ბანდები

მანაგუა. ნიკარაგუის ჯარებმა გაანადგურეს სომოსელი ბანდიტების ორი დაჯგუფება, რომლებმაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დახმარებით მომდინარე წლის თებერვალში ხონტალეგისა და მატაგალპის დეპარტამენტებიდან განახორციელეს შეიარაღებული შეჭრა ნიკარაგუაში.

სომოსელთა ამ ორი დაჯგუფების ნიკარაგუაში შეგზავნა შემდგენელი ნაწილია რევოლუციური რესპუბლიკის წინააღმდეგ შეიარაღებული აგრესიის გეგმისა, რომელიც შეიმუშავა რეიგანის ადმინისტრაციამ, განაცხადა აქ პრესკონფერენციაზე მეოთხე სამხედრო ოლქის სარდალმა ხავიერ კარიონმა.

მატაგალპისა და ხინოტეგის დეპარტამენტებში ორი თვის ბრძოლების მანძილზე განადგურდა 240-ზე მეტი კონტრრევოლუციონერი, თორმეტი სომოსელი ტყვედ ჩავარდა, სამოცზე მეტი დაიჭრა, თქვა ხ. კარიონმა, ამჟამად სანდინისტური სახალხო არმიის ქვედანაყოფები ახორციელებენ ოპერაციებს დაქირავებულთა მცირე ჯგუფების ლიკვიდაციისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ მოქმედებენ ქვეყნის ამ რაიონში.

ოფიციალური დოკუმენტის სახით

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გენერალური ასამბლეის ოფიციალურ დოკუმენტად გაავრცელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის პასუხი ჟურნალ „შპიგელისადმი" (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), რომელიც საბჭოთა პრესაში გამოქვეყნდა ა. წ. 25 აპრილს.

გულისწყრომა და აღშფოთება

ირანის სახალხო პარტიის აკრძალვის გამო

ულან-ბატორი. მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოხატა ღრმა შეშფოთება იმის გამო, რომ ირანის ხელისუფლებმა აკრძალეს ირანის სახალხო პარტია, დაუპატიმრეს და აწამეს ბევრი მისი აქტივისტი.

იმ პირობებში, როცა ირანის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს საფრთხეს უქმნის უმთავრესად ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმის მტრული ხრიკები და ქვეყნის შიგნით მისი დამქაშების ძირგამომთხრელი მოქმედება, ნათქვამია მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადებაში, ვერაფრით ვერ გავამართლებთ ირანის დამსჯელი ორგანოებისთვითნებობისა და ძალმომრეობის აქტებს დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლთა მიმართ. ასეთი უსამართლო მოქმედება, ხაზგასმულია დოკუმენტში, ხელს კი არ უწყობს ირანში ვითარების სტაბილიზაციას, მისი საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებას, არამედ ხელს აძლევს „კომუნიზმის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის" სულისჩამდგმელებს.

პარიზი. გაათავისუფლონ პოლიტიკური პატიმრები ირანში, გააუქმონ ირანის რეჟიმის მიერ ირანის სახალხო პარტიის აკრძალვა, — ამ მოთხოვნებს შეიცავს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის განცხადება.

ირანის ხელისუფლებმა, რომლებმაც დაატუსაღეს ირანის სახალხო პარტიის ათასამდე წევრი და კანონგარეშე გამოაცხადეს მათი პარტია, ნათქვამია განცხადებაში, ახალი სისხლიანი რეპრესიები დიწყეს თავიანთი ქვეყნის დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ.

ირანის სახალხო პარტიის წევრთა მიმართ რეპრესიები, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, ფრაგი კომუნისტების გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს. საფრანგეთის კომპარტიამ მსოფლიოს მთელ პროგრესულ მშვიდობისმოყვარე ძალებს მოუწოდა მტკიცე პროტესტი განაცხადონ ირანის ხელისუფალთა დამსჯელი აქციების წინააღმდეგ.

პარალ. წინასწარ განზრახული ხიცრუეა მტკიცებანი, თითქოს ირანის სახალხო პარტიის წევრები „საიდუმლო ინფორმაციას" აწვდიდნენ სსრ კავშირს, წერს გაზეთი „პრაცა". პარტიის წევრებს არასოდეს არ ეკავათ რაიმე სახელმწიფო პოსტების დონის თანამდებობანი ირანის შეიარაღებულ ძალებში, ამიტომ მათ ხელიც კი არ მიუწვდებოდათ „საიდუმლო ინფორმაციაზე", რომელსაც საქმე ეხება.

რაც შეეხება ირანის სახალხო პარტიის დაპატიმრებულ ხელმძღვანელთა „აღიარებას", წერს შემდეგ გაზეთი, ისინი გამოგლეჯეს გესტაპოელთა მეთოდებით, რომლებიც ირანის დამსჯელმა ორგანოებმა სავაქისაგან ისწავლეს.

● აშშ

ვაშინგტონი ძველ პოზიციას აღგას

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებისადმი კონტროლისა და განიარაღების საკანონმდებლო დირექტორმა კ. ედელმანმა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომისიაში გააკეთა განცხადება, საიდანაც ირკვევა, რომ ვაშინგტონს განზრახული აქვს კვლავაც გაუწიოს საბოტაჟი საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებას შეიარაღების შეზღუდვის საკითხებზე.

როგორც ედელმანმა თქვა, რეიგანის ადმინისტრაციას კვლავ-ნდებურად მიაჩნია, რომ ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მიმდინარე ჟენევის მოლაპარაკების „ყველაზე მიზანშეწონილი შედეგი" უნდა გახდეს „ნულოვანი ვარიანტის" მოწონება, რაც თანდებელია სსრ კავშირისათვის, ვინაიდან ფაქტობრივად ეს საბჭოთა კავშირის ცალმხრივ განიარაღებას ნიშნავს. ედელმანმა მიმართა უხეიერობს ირანში ვითარების სტაბილიზაციას, მისი საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებას, არამედ ხელს აძლევს „კომუნიზმის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის" სულისჩამდგმელებს.

პარიზი. გაათავისუფლონ პოლიტიკური პატიმრები ირანში, გააუქმონ ირანის რეჟიმის მიერ ირანის სახალხო პარტიის აკრძალვა, — ამ მოთხოვნებს შეიცავს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის განცხადება.

ირანის ხელისუფლებმა, რომლებმაც დაატუსაღეს ირანის სახალხო პარტიის ათასამდე წევრი და კანონგარეშე გამოაცხადეს მათი პარტია, ნათქვამია განცხადებაში, ახალი სისხლიანი რეპრესიები დიწყეს თავიანთი ქვეყნის დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ.

ირანის სახალხო პარტიის წევრთა მიმართ რეპრესიები, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, ფრაგი კომუნისტების გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს. ასეთი უსამართლო მოქმედება, ხაზგასმულია დოკუმენტში, ხელს კი არ უწყობს ირანში ვითარების სტაბილიზაციას, მისი საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებას, არამედ ხელს აძლევს „კომუნიზმის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის" სულისჩამდგმელებს.

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებისადმი კონტროლისა და განიარაღების საკანონმდებლო დირექტორმა კ. ედელმანმა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომისიაში გააკეთა განცხადება, საიდანაც ირკვევა, რომ ვაშინგტონს განზრახული აქვს კვლავაც გაუწიოს საბოტაჟი საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებას შეიარაღების შეზღუდვის საკითხებზე.

როგორც ედელმანმა თქვა, რეიგანის ადმინისტრაციას კვლავ-ნდებურად მიაჩნია, რომ ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მიმდინარე ჟენევის მოლაპარაკების „ყველაზე მიზანშეწონილი შედეგი" უნდა გახდეს „ნულოვანი ვარიანტის" მოწონება, რაც თანდებელია სსრ კავშირისათვის, ვინაიდან ფაქტობრივად ეს საბჭოთა კავშირის ცალმხრივ განიარაღებას ნიშნავს. ედელმანმა მიმართა უხეიერობს ცდებს საბჭოთა კავშირისათვის დაებრალებინა ის, რომ წელიწადნახევრის მოლაპარაკების შემდეგ მხარეების პოზიცია იოტისოდენადაც არ დაახლოებულა.

არადა, კარგად არის ცნობილი, რომ სწორედ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაიჩემა თავდაპირველად „ნულოვანი ვარიანტი", ხოლო ამ ბოლო ხანებში — ასევე მიუღებელი „ვარიანტის" ნაირსახეობა, ეგრეთ წოდებული „შუალედური" გადაწყვეტა, აბრკოლებს მოლაპარაკებას და ყოველნაირად ცდილობს დასავლეთ ევროპაში განალაგოს ახალი ამერიკული პირველი დარტყმის რაკეტული იარაღი იმის დამატებით, რაც უკვე დადგმულია. ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატები სსრ კავშირისაგან მოითხოვს თავისი ბირთვული საშუალებების ცალმხრივ შემცირებას. ასეთია ამ „შუალედური ვარიანტის" აბსურდული არსი.

თავის გამოსვლაში ედელმანმა განაცხადა, რომ „ენერგიულად უჭერს მხარს" ამერიკის შეერთებულ შტატებში ახალი „მექს" საკონტინენტთაშორისო რაკეტების შექმნისა და განლაგების პროგრამას, თან, ყოველგვარი ლოგიკისა და საღი აზრის საწინააღმდეგოდ ამტკიცებდა, ვითომდა „ამერიკის ხელახალი შეიარაღების" მასირებული პროგრამის რეალიზაცია, რომლის მიზანია ძალების დაახლოებითი წონასწორობის დარღვევა და საბჭოთა კავშირთან სამხედრო უპირატესობის მოპოვება... ხელს შეუწყობს ბირთვული შეიარაღებისადმი კონტროლის დაწესების დარგში ღონისძიებათა წარმატებას.

თუმცა, რომ არაფერი ვთქვათ ურთიერთმისაღები გადაწყვეტისადმი სწრაფვაზე, რა ობიექტურობას უნდა მოელოდე მოღვაწეისაგან, რომელმაც განაცხადა, შეიარაღებისადმი კონტროლი — ეს მხოლოდ „ფიქციაა", რომელიც ამერიკისა და დასავლეთ ევროპის საზოგადოებრიობის „დასაბოშმინებლად" არისო საჭირო. და შემთხვევითი როდია, რომ უწყების, რომელიც მოწოდებულია ხელს უწყობდეს გამალებული შეიარაღების შეზღუდვას, ამერიკის ადმინისტრაციამ სათავეში ჩაუყენა ადამიანი, რომელიც შეიარაღების შემდგომ ზრდას მოითხოვს.

ფოტოკალეიდოსკოპი

● ტელევიზორი... ხელჩანთაში ● „საგაზაფხულო" მუზარადი ● „ჯენერალ მოტორსის" სიახლე

იაპონიის „კასიო კომპიუტერ კომპანი" აპირებს მსოფლიოში ყველაზე პატარა ტელევიზორების გამოშვებას. იგი სულ 350 გრამს იწონის, ხოლო სიმაღლე და სიგანე შესაბამისად 8 და 11,8 სანტიმეტრია. კომპანიის წარმომადგენელთა და კონსტრუქტორთა აზრით, ახალი მიკროტელევიზორი მოეწონებათ ქალაქგარეთ მოგზაურობათა მოყვარულებს, მისი გამოყენება შეიძლება ტრანსპორტით მგზავრობისა და კონოიკების სალარობთან რიგში დგომისას. ელექტრონული სიახლე თავისუფლად თავსდება ქალის ხელჩანთაში.

ინგლისი. რიჩარდ ჰინჩერტონმა შექმნა მუზარადი იმ ადამიანთა დასაცავად, რომლებსაც გაზაფხულის პერიოდში უყავიდოლობის მავნე გავლენისადმი — ალერგიისადმი მიდრეკილება აქვთ.

როგორც ჩანს, ეს „გამოგონება" უფრო მეტ ადამიანს გამოადგება კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც სუფთა ჰაერის პრობლემამ დიდ ქალაქებში ავტომანქანების გამონახოლქვი გაზების და ატმოსფეროში ქიმიური წარმოების ნარჩენების გაბნევის გამო საშიში მასშტაბები მიიღო. სურათზე: (ქვემოთ მარცხნივ) რიჩარდ ჰინჩერტონი ვაჟიშვილთან და ქალიშვილთან ერთად აჩვენებენ „საგაზაფხულო" მუზარადს.

აშშ. საავტომობილო კომპანიის „ჯენერალ მოტორსის" ინჟინრებმა შექმნეს ეკონომიური ეკიპაჟის კონსტრუქცია, რომელსაც მოსახვევში დაფერდება შეუძლია (სურათზე). მანქანა ადგილიდან დაძვრისთანავე 7 წამში სათში 100 კილომეტრ სიჩქარეს ავითარებს. საწვავის ხარჯვა შეადგენს 1 ლიტრს 60 კილომეტრზე.



აირჩიეს თავმჯდომარე

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის სხდომაზე

ბელგრადი. გაიმართა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც პრეზიდიუმის ახალ თავმჯდომარედ აირჩიეს ვ. შალიაჯი.

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სკუპშინის ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე ქვეყნის ამ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე გახდა ვ. სრზენტიჩი.

ბოღო მოვუღოთ ბანდიტთა თვითნებობას

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენელმა ს. სუიამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდის გამგეობის მომდინარე სესიის მონაწილეებს მიმართა მოწოდებით დაუყოვნებლივ განახორციელონ ღონისძიებანი ჩეხოსლოვაკიელი და პორტუგალიელი სპეციალისტებისა და მათი ოჯახის წევრების განთავისუფლებისათვის, რომლებიც ანგოლაში მომდინარე წლის მარტში ხელთ იგდეს უნიტას დაჯგუფების ბანდიტებმა. ფონდის გამგეობამ, თქვა მან, უნდა გამოიყენოს მთელი თავისი შესაძლებლობანი, რათა ბოლო მოუღოს შეუწყნარებელ მდგომარეობას, რომელშიც აღმოჩნდნენ ორი ქვეყნის უდანაშაულო მოქალაქენი, მათ შორის 21 ბავშვი.

ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა თქვა, რომ ეს აღმაშფოთებელი აქცია მტკიცედ დაგმო საერთაშორისო საზოგადოებრიობამ. კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდის გამგეობამ მომდინარე წლის აპრილში გამოაქვეყნა რეზოლუცია, რომელშიც მტკიცედ დაგმობილია ადამიანის უფლებათა ამგვარი დარღვევა და შეიცავს მოწოდებას დაუყოვნებლივ განახორციელონ ღონისძიებანი მეტვალთა, უწინარეს ყოვლისა, დედებისა და ბავშვების სიცოცხლის გადასარჩენად, აგრეთვე მათი უსწრაფესი განთავისუფლებისათვის.

● ეკვადორი

... ეროვნული ... ...

გახსენების ლექსი

კონსტანტინე სიმონოვს

ბოლავს ჩიბუხი —
შენი ძღვენი, შენი ფეშქეში...
დღეთა და წელთა
გარდასულთა მსურს გამთელება.
თუთუნის კვამლი
იზლაზნება ხის საფერფლეში
და უნებურად
ჩემს ნაღვლიან ფიქრს ეფერება!

ბოლავს ჩიბუხი —
შენი ძღვენი, შენი ფეშქეში...
ჩიბუხის გულში
ოქროს ბეწვი ინვის, კვამლდება.
ალს თვალს უხუჭავს
მოუქნელი ცერი ხეხეში
და უთვალავი
მოგონება აღარ მთავრდება!

ბოლავს ჩიბუხი
და თუთუნის კვამლში ვბრუვდები,
ჰაუ, რამდენი
მოგონება ინვის და ღვივის,
იფანტებიან
ბინდიანი აბლაბუდები,
გამოანათებს
გახსენების პირველი სხივი.

ტკივილი გამკრავს,
ელვის დარი და უცაბედი,
ბოლავს ჩიბუხი,
თვალწინ დგახარ, ვნაღვლიანდები,
თან ლბილი ვხდები,
როგორც მშრალი, ძველი აბედი,
თვალწინ ნელ-ნელა
ჩაივლიან ქუფრი ლანდები...

ბოლავს ჩიბუხი,
შენი ძღვენი, შენი ფეშქეში...
— როდის, სად შევხვდით...
ან გარდასულ წლებს ვათარიღებ.

ვფურცლავ ჩემს რვეულს,
ფურცელი თრთის დაღლილ ხელებში,
„მეგობრის ხსოვნას“
მე ქართულად რომ გადავიღე.

წამით ვჩერდები,
დგას სიტყვების ნაზი ნათელი,
შენ რუსულად თქვი,
მე— ქართულად ვცადე გამოთქმა.
იმ ლექსში ძმობის
ცეცხლი ღვივის და ურუანტელი
და ვარამს უჭირს
სამზეოზე სულის ამოთქმა.

მე იმ სტრიქონებს
ვერ გავატან გადავიწყებას,
დღესაც მაღელვებს,
დარდი შენი სიმწრით ნალესი.
და თუ არ ვცდები
რექვიემი ასე იწყება:

„...დავკარგე ძველი
მეგობარი უსაყვარლესი“...

ათი წლის წინათ
მითარგმნია „მეგობრის ხსოვნას“,
სწორედ იმ ხანად,
როცა საძმოდ ჩვენთან ჩამოდი,
ჩიბუხი ბოლავს,
შენი ძღვენი თუთუნი ბოლავს
და მოგონების
ჩაუქრობი ალი ამოდის.

თარგმანი მაშინ
წაგიკითხე ბაღდადის ცასთან
და გავაგონე
ხანისწყალის ვიწრო ხეობებს.
ვბედავ და დღესაც
უჩვეულო შენეულ განცდას
დღეს უკვე შენი
მისამართით გავიმეორებ:

კონსტანტინე სიმონოვი

მეგობრის ხსოვნას

დავკარგე ძველი მეგობარი უსაყვარლესი...
არ ვიცი რა ვქნა, დამებინდა უცბად გონება.
არ მიფიქრია არასოდეს ამგვარ რამეზე,
რომ მე უმისოდ მომინევდა ქვეყნად ცხოვრება.

როცა ის მინას მიაბარეს, ვიყავ შორეთში,
გამოთხოვება ვერ შევძელი, მკლავდა ვარამი.
ამაოდ ვეძებ, აღარ მოჩანს იგი ტოლებში,
ის აღარ არის, ის არ არის, ის აღარ არის...

მსურს მასთან მისვლა, ის არ არის, მსუსხავს ნაღველი,
არის ის ქუჩა, სახლი, ბინა... მაგრამ ბინდია,
აბრას ისევე აწერია მისი სახელი
და საკიდარზე მისი ჯოხი, პალტო პიკიდია.

არის კარს მიღმა კაბინეტი, მაგრამ ჩამქრალი,
ყველაფერია, ფიქრი მბურავს გულშემზარავი...
ყველაფერია, ყველაფერი, მაგრამ სხვაგვარი...
რადგან ის იყო და ახლა კი იგი არ არის.

ერთმანეთს ძმურად, მეგობრულად რომ მივმართავდით
ვამბობდით: „დავსხდეთ“, „ნაიკითხე“, „გაიზიარე“,
„გამოიარე უსათუოდ ხუთ საათამდე“,
„დარეკე“, „მოდი“, „უსათუოდ გამოიარე“.

ახლა კი... უნდა მივეჩვიო სიტყვებს: „ის წერდა“,
უნდა ვთქვა მასზე: „ის ამბობდა“, „ის მიამბობდა“.
„მეხმარებოდა, მნახულობდა და ხელს მიწვდიდა,
რომ არ მენაღვლა, უთბილესი სიტყვით მათბობდა“.

შენი სიკეთის დავიწყება მეტად ძნელია,
„შენ“ — გითხრა ძმურად, ახლა უკვე არ შეიძლება.
„შენს“ ნაცვლად მიჭირს „ის“ უნდა ვთქვა,
მწველზე მწველია,
ძნელია „შენის“ ასე მალე გადავიწყება!

„მიყვარხარს“ ნაცვლად „მიყვარდას“ თქმა გამიძნელდება,
„მყავს მეგობარის“ ნაცვლად „მყავდა“ ძნელად ითქმება.
ასეა? — არა! ჩემი რწმენა არ გარდიქმნება,
ათას წელს აღწევს ჩვენთან შუქი ჩამქრალ ვარსკვლავთა,
ჩვენამდე აღწევს, მაგრამ მათთან რა მესაქმება!
შენ უფრო თბილი, კეთილი ხარ და შუქქათქათა,
ვიდრე ცოცხალ ვარ, შენი შუქი აღარ ჩაქრება!

მცირე დრო დამრჩა სიცოცხლისა ძმას და მეგობარს
და ამ მანძილზე შენი ძმობის შუქი მეყოფა.

(თარგმნა რევაზ მარგიანმა).

* * *

მესტიაში ვარ...
კვლავ ჩიბუხში იწვის თუთუნი,
ცეცხლს თვალს უხუჭავს
მოუქნელი ცერი ხეხეში.
მარცხენა ხელში
სულს ძღივს ითქვამს ხმაგაგუდული
გრიგოლ აბაშიძის
შემზარავი პწკარი დეპეშის:

„ ის აღარ არის“...
ეს რა მოგდით ჩვენს ძმადნაფიცებს,
ძნელია ამის
დაჯერება, სიმწრით ვბრუვდები.
გაოგნებული,
გულმტკივნეი ცოლ-შვილს ვაღვიძებ:
— დავკარგეთ კაცი,
მეგობარი ფასდაუდები...

* * *

ვიხსენებ: მთაში
ცივი წყარო ცხელ გულს მოსწყურდა,
მხურვალე შუბლზე
შეეისხურეთ წყაროს შხეფები.
ეხედავთ შხარიდან
მოვარვარე მზე გადმოცურდა
და დალის დალალს
ალმოდებულს ხელით ვეხებით.

შენთან მთებში ვარ,
ყინვარების სუსხი გვამხნევებს,
ცისკენ ქამანდად
შორს გასროლილ ბილიკს გავცქერით,
მთათა მაღალთა
უნეტარეს ვმარცვლავთ სახელებს
და ბოლოს მაინც
მონად ვრჩებით თეთრი ჩანჩქერის.

გხედავ, ღიმილით
უხსოვარ ხნის კოშკს აკვირდები
და საკარცხულში
პირმღიმარე ზიხარ მახვშივით,
მაგრამ ყველაზე
უფრო გბიძლავს მულხრის ზვირთები,
როგორ მიღელავს
ენგურისკენ ფაფარაშლილი.
გხედავ მღიმარეს,
ხელთ სვანური კათხა გიჭირავს,
ლოცავ მასპინძელს,
თავს გვადგანან მთანი მაღალნი.
შეხურდა სუფრა.
სიმღერამაც თავი იჩინა,
გაისმა „ლილე“,
ჩემთვის ძველი, შენთვის — ახალი!

შემდეგ კი ტაში.
წრეში ბრუნავ თითქმის სვანურად,
„ცერულიც“ სცადე,
დაუარე კალოს გლეხურად.
შემდეგ კი გვიან,
მულახური ცა უცნაური
სტუმარ-მასპინძელს
აბრეშუმის საბნად გვეხურა!

* * *

ახლაც იქა ვარ...
მოსკოვს მიწდა რომ გამოვფრინდე,
ეგებ მოგისწრო,
მოვახერხო დამშვიდობება.
რა ავდრიანი
გახდა ნლეულს მარიამობისთვე,
ავხედე ცას და
ცაზე ღრუბლის ფარა გროვდება.

ფრენა არ არის...
ჭირვეულობს მთაში ამინდი,
აეროპორტთან
ღრუბელი წევს შავ-შავ ფარებად,
მე კი ბალღივით
გულუბრყვილო და მიამიტი
კვლავ ველოდები
მზიან დღეს და გამოდარებას.

მინდა მოგისწრო,
ვერ ვისვენებ, ჩემს გულს ვასკდები,
დრო მიდის, ენატრობ
რომ ვიხილო ნისლი დამდნარი.
ავდარი მძლავრობს
და იმედიც უკანასკნელი
ქრება და უფრო
მეტად ავობს მთაში ავდარი.

მინდა მოგისწრო,
ღრუბლის ფერი სახეს დამედო,
მხნე და ამაყი
ჩემდა ბედად გავხდი უძლური,
რაღა დღეს გახდი
ავდრიანი ჩემო სვანეთო,
ზაფხულის წვიმით
გალუმპული და განუწყული.

ამგვარ ამინდში
თვით არწივსაც უჭირს გაფრენა,
თვით კლდიდან კლდეზე
ძლივსღა დაფრენს ფრთების ტლაშუნით.
ელვა ცას ბზარავს,
ქარიშხალი უფრო მძაფრდება,
გრუხუნებს ცა
და თვალს მჭრის ელვის გამონაშუქი...

მე კი ჩემს ჩიბუხს
შენგან მოძღვნილს, ხელს ვუფათურებ,
მოსაღამოდა
და სიბნელე მთიდან ეშვება.
თვალის გახელა
თითქოს უჭირთ ბოძზე ნათურებს,
ვწუხვარ, რომ ავდრის
დამარცხების არ მაქვს შეძლება.

* * *

მახსოვს მოსკოვს ვართ,
შენს ოჯახში ზეიმს ვესწრებით,
ვსაუბრობთ თბილად,
მეგობრულად ერთურთს შევხარით,
მრავალ ენაზე
გიზგიზებენ ჩვენი ლექსები —
ნაზი, გულთბილი
და ხანდახან მხნე და მედგარი.

მახსოვს მოსკოვს ვართ,
შენს ოჯახში კახურ ღვინოს ვსვამთ,
გარეთ ამინდი
ჭირვეულობს ქუში, უმზეო.
მოულოდნელად
ამბობ: — ძმებო, ამ ჩემს ფიროსმანს
ჩემივე ხელით
ჩავაბარებ ქართულ მუზეუმს...

ცოცხალმა შენ თვით
ვერ მოასწარ, ვერ ჩამოხველი.
მოკლე გამოდგა,
ძმაო, შენი წუთისოფელი.

* * *

მესმის შენი ხმა:
— „მესტიაში როდის წავიდეთ“...
მომესმის ისევ
ჩანჩქერების მძლავრი გუგუნი.
მე კი უცნაურ
მოჩვენებებს თვალს ვერ ვარიდებ,
კვლავ გველოდება
გამჭვირვალე ზეცა უშგულის.

დრო მიდის. ჩემი
საუბარი უნდა დასრულდეს.
ვგრძნობ, დაიღალე,
ძველებურად არა გაქვს მოცლა.
არ მეუბნები:
— ჩემო კარგო, ამომასუნთქე,
გესაუბრები,
არ გასვენებ ისე, ვით ცოცხალს.

* * *

სიცოცხლე შენი
ისე სწრაფად, მალე დამთავრდა,
ვეღარ იხილე
ხელმეორედ ზეცა ბაღდადის,
მე ვერასოდეს
ვეღარ მოვალ შენს ცივ საფლავთან,
არ გაგაჩნია,
სად გასმინო ჩემი ღაღადი?!

სად მივიტანო
შენს საფლავზე ციცქნა ყვავილი,
როგორც სანთელი
მოპარპალე, როგორც სანთური?
როს შენი ფერფლი,
უნაზესი დილის ნამივით
ძველ ბრძოლის ველზე
არის თურმე მიმოფანტული.

— „მშვიდობით“, ვამბობ —
და „ნახვამდის“ აღარ ითქმება.
მეც შენეულ ლექსს
ვესესხები სხვა გზა არა მაქვს,
თბილისში ახლა თოვს,
მთაწმინდა კვლავ იფიფქება
და ხვავრელად
ეფინება თოვლი ქალაქად!

* * *

მე შენ გიხსენებ,
შენს ლექსს ფრთხილად მივწვდი ისევე,
შენეულ განცდას
მოკრძალებით ვესათუთები.
უდროოდ წასულს,
კაცურ კაცს და ვაჟკაცს გიხსენებ
და სტრიქონები
ზუზუნებენ, როგორც ფუტკრები.

მე შენ გიხსენებ,
საქართველოს კეთილ მეგობარს,
მსურს ახლოს მოსვლა,
გზად სიკვდილი გადამეღობა!
წერტილის დასმა
გამიჭირდა ამ საღამოსაც,
ისევ ის შენი
ნაღვლიანი სიტყვა წამომცდა.

შენეულ სიტყვებს
ვიმეორებ ლექსში საჯაროდ,
ეს გახსენების
ჩემი ლექსი რომ დავამთავრო:
„მცირე დრო დამრჩა მეც სიცოცხლის,
ძმას და მეგობარს
და ამ მანძილზე შენი ძმობის შუქი
მეყოფა“.

1983 წ.

სურათზე: კონსტანტინე სიმონოვი და რევაზ მარგიანი უშბასთან (1969 წ.).

ე. ხალდეის ფოტო.

ახალი საქართველოს ოქროს საწმისი

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების ორგანომ ჟურნალმა „ფრანს-იურსს მაგაზინმა“ თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში გამოაქვეყნა სტატიები საქართველოზე საერთო სათაურით — „ახალი საქართველოს ოქროს საწმისი“, რომელიც ფართოდ გააცნო საბჭოთა მკითხველებს სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის ყოველკვირეულმა „ზა რუბეიომ“, თანაც შემდეგი წინასიტყვაობა წაუმძღვარა ფრანგული ჟურნალიდან გადმოთარგმნილ ამ მასალებს:

„დღენიადაგ იზრდება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წვლილი ჩვენი საშობლოს საერთო მიღწევებში. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს განვითარების მთელი ისტორია მკვეთრმეტყველურად ადასტურებს სოციალიზმის წინსვლას, ლენინური ეროვნული პოლიტიკის ცხოველმყოფლობას. ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში მონაწილეობამ საქართველოს შესაძლებლობა მისცა შეექმნა მისთვის სრულიად ახალი მრეწველობის დარგები: საავტომობილო, ელექტრონული მანქანათაშენებელი, ქიმიური, ლითონდამუშავებელი მრეწველობა, შავი და ფერადი მეტალურგია, ელექტროენერგეტიკა. შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია საქართველომ განათლებისა და კულტურის დარგში. ამ სამხრეთული რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არიან ცნობილი მისი მეცნიერები და პოეტები, მხატვრები და მუსიკოსები, სპორტსმენები და ჭადრაკის დედოფალთა მთელი სახელმოხვეჭილი პლეადა“.

ფრანგი ავტორები — მწერალი არმან ლანუ, ჟურნალისტი, ჟურნალ „ფრანს-იურსს მაგაზინის“ დირექტორი ჟორჟ მარტენი და ისტორიკოსი ჟაკ გაკონნი კარგად არიან ცნობილი ჩვენი მკითხველი საზოგადოებისათვის — მათ არაერთი სტატია თუ წიგნი მიუძღვნეს საბჭოთა კავშირსა და, კერძოდ, საქართველოს. აწ განსვენებული მწერალი არმან ლანუ ამ რამდენიმე წლის წინათ პირადად ეწვია საქართველოს და საფრანგეთში დაბრუნებისთანავე ძალზე საგულისხმო ნარკვევები გამოაქვეყნა ჩვენს რესპუბლიკაზე.

საქართველოზე ნარკვევების ციკლს ფრანგული ჟურნალი სწორედ არმან ლანუს სტატიით ხსნის, რომელშიც ნათქვამია:

„ჩვენ გვსურს რეპორტაჟების ამ სერიაში გიამბოთ საქართველოზე. ეს რესპუბლიკა გამოირჩევა დიდი თავისთავადი და თვითმყოფადი კულტურით, ტრადიციებით; საინტერესო და რთულია მისი ისტორია.

ამ მიწაზე დღემდე ცოცხლობს თქმულება ოქროს საწმისზე, რომლისთვისაც ჩამოვიდნენ არგონავტები ძველ კოლხეთში, ცოცხლობს სამართლიანობის, სილამაზის, სიკეთის იდეალები, რომლებსაც ხოტბა შეესხა შოთა რუსთაველმა — ქართველმა დინტემ. ეს არის ერთიანი და ნაირსახოვანი ხალხი.

ოქროს საწმისი

მიყვარს მთებითა და ტყეებით დაფარული, შავი ზღვის ნაპირებიდან იალტაზისა და მყინვარწვერის მწვერვალებამდე გადაშლილი ეს ქვეყანა, მისი ეკლესიები, რომლებიც საფრანგეთის რომანული სტილის ტაძრებს გვაგონებენ. მიყვარს ეს ხალხი, მისი საგუნდო სიმღერები, თაობიდან თაობას რომ გადაეცემა.

დიახ, მე არა ვარ გულგრილი ამ ქვეყნისადმი, სადაც ყველაფერი ახლობლად და მშობლიურად მეჩვენება: სანადიმო სუფრაც და მთის კალთებიდან სოფელში საღამოობით მოდენილი ფარაც, თერგის შმაგი ტალღებიც და საოცარი უღელტეხილებიც, რომლებიც შთაგონებდნენ პუშკინსა და ლერმონტოვს, ოქროსა და სპილენძის ლითონმქანდაკებლობაც და ფიროსმანაშვილის გაწუმორებელი ნახატებიც — გამიჭირდება ყველაფრის ჩამოთვლა, რისთვისაც მიყვარს ეს მხარე“.

ნარკვევში „შრომითი დიდება“ ჟურნალისტი ჟორჟ მარტენი ფრანგ მკითხველს მოუთხრობს საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე და ახასიათებს მისი სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ძირითად მიმართულებებს. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მევენახეობას. საქართველოს ტერიტორიის აღმოსავლეთი ნაწილი, წერს იგი, მთის ფერდობებზე, მზის გულზე მდებარე კირქვიანი ნიადაგები, ცნობილია როგორც ღვინის სამშობლო. ამ ხალხს არ სჭირდებოდა უცხო ჯიშის ვაზის შემოტანა, ვინაიდან აქ ხუთასზე მეტი სხვადასხვა სახეობის ღვინოს აყენებენ. ისე როგორც საფრანგეთშია მიღებული, ღვინოს იმ სოფლის ან რაიონის სახელწოდება აქვს, სადაც ხარობს ამა თუ იმ ჯიშის ვაზი. მოყვარულები კარგად იცნობენ ისეთ ღვინოებს, როგორიცაა „წინანდალი“, „გურჯაანი“, „ნაფარეული“, „ტიბანი“, „ჩხავერი“, „მუკუზანი“ — წითელი და თეთრი შშრალი ღვინოები, რომლებიც ფრანგულ ბურგუნდულს ან ბორდოს ღვინოებს მოგვაგონებს.

თუ ძველ დროში, წერს ავტორი, ეს კუთხეული მიწა მხოლოდ ოქროს საწმისის მაძიებლებს იზიდავდა, ახლა უნდა ვაღიაროთ, რომ თანამედროვე საქართველო საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ყველაზე აყვავებული რესპუბლიკაა“.

მკითხველებმა იციან, რომ ჟორჟ მარტენი პირადად ესწრებოდა სკკპ XXVI ყრილობას. მან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მთელი რიგი სტატიები მიუძღვნა ყრილობის მუშაობას და მსსში საქართველოს კომპარტიის დელეგაციის მონაწილეობას („კომუნისტი“, 1982 წ. 14 ივნისი). ჟორჟ მარტენი ამჟამად ცალკე წიგნს წერს საბჭოთა საქართველოზე.

პროფესორმა ჟან გაკონნმა პროფესორ ჟან ბუვეიესთან ერთად 1953 წელს პარიზში გამოაქვეყნა წიგნი საბელწოდებით „სიმართლე 1939 წელზე (სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკა 1938 წლის ოქტომბრიდან 1941 წლის ივნისამდე)“.

ნარკვევში „ხალხთა დაბრუნების ღრმა ფესვები“ [illegible] მიმოიხილავს რა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, ერთ-ერთ გადამწყვეტ მოვლენად მიიჩნევს რუსეთის მფარველობაში საქართველოს ნებაყოფლობითს შესვლას, რომელიც, როგორც ავტორი წერს, გაფორმდა ცნობილი გეორგიევსკის ხელშეკრულებით.

საქართველოს ისტორია, წერს ისტორიკოსი, მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთის ისტორიასთან. ადგილობრივი ინტელიგენცია ოპოზიციაში ჩაუდგა ცარიზმს, წამოაყენა სოციალური და ეროვნული ხასიათის მოთხოვნები.

1893 წელს შეიქმნა პირველი მარქსისტული ორგანიზაციები საქართველოში. ქართველ ხალხს ოქტომბრის რევოლუციამ მოუტანა ნამდვილი განთავისუფლება.

ავტორი დაწვრილებით გვესაუბრება საქართველოში სპორტის აყვავებაზე, კერძოდ, ქართველ მოჭიდრაკე ქალთა ფენომენურ წარმატებებზე. ქართული კინემატოგრაფის მსოფლიო აღიარებაზე. იგი მაღალ შეფასებას აძლევს ქართულ სიმღერებსა და ცეკვებს. ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გამოკვლეული, წერს ავტორი, ქართული მუსიკალური ფოლკლორის სიმდიდრე და გასაოცარი მრავალფეროვნება. იგი მთელი მსოფლიოს მკვლევარ-მუსიკათმცოდნეების სულ უფრო დიდ ყურადღებას იპყრობს.

„ზა რუბეიომ“ აქვეყნებს აგრეთვე ფინურ ჟურნალ „ზიუვიუდსტადსბლადეტში“ დაბეჭდილ კატარინა სპორეს სტატიას — „ჟულტურული მემკვიდრეობისადმი ფაქიზი დამოკიდებულება“, რომელიც თბილისის ძველი უბნების რესტავრაციას, აქ მიმდინარე დიდ სამუშაოებს ეძღვნება.

აქვეა ფოტოები და ტექსტი ლონდონის „ფაინენშლ ტაიმსიდან“, რომელშიც მოთხრობილია თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელ ქარხანაზე.

ი. ტაბალუა,
პროფესორი.

გზა დაკულიზოთ!

ახალი მხატვრული ფილმის „კუკარაჩას“ რესპუბლიკური პრემიერა

ნოდარ დუმბაძის მოთხრობის „კუკარაჩას“ მიხედვით ამავე სახელწოდების ქართული მხატვრული ფილმის რესპუბლიკურ პრემიერასთან დაკავშირებით ამ დღეებში საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის კინოდარბაზში პრესის მუშაკთათვის მოეწყო ფილმის წინასწარი ჩვენება. შემდეგ გაიმართა პრესკონფერენცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. ძიძიგური. მან დამსწრეთ წარუდგინა ფილმის შემოქმედებითი ჯგუფი. ფილმის ერთ-ერთმა რეჟისორმა ქეთი დოლიძემ ისაუბრა ფილმის შესახებ და კითხვებზე უპასუხა ჟურნალისტებს.

ახალი ქართული მხატვრული ფილმი „კუკარაჩა“, რომელიც 16 მაისიდან ერთდროულად ნაჩვენები იქნება საქართველოს ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, გადაიღეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა სიკო დოლიძემ და ქეთი დოლიძემ, ფილმის ოპერატორია მიხეილ მედნიკოვი, დამდგმელი მხატვარი — ნოდარ სულემანაშვილი, კომპოზიტორი — გ. ჩლაიძე.

ახალ ქართულ მხატვრულ ფილმს უკვე ჰქონდა წარმატება თბილისისა და მოსკოვის კინოს სახლებში გამართულ პრემიერებზე, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის რამდენიმე ქალაქში. ფილმი მონაწილეობას ყვიოდებს ლენინგრადში გამართულ საკავშირო კინოფესტივალში. წარდგენილია კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე.

საინტერესოა ისიც, რომ ფილმი „კუკარაჩა“ ნაჩვენები იქნება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავთან დაკავშირებით რუსეთის სფს რესპუბლიკაში საქართველოს კულტურის დღეების დროს, რომელიც ზაფხულში მოეწყობა.

ალ. გვენცაძე,
საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის მეთოდიკური კაბინეტის გამგე.

სურათზე: კადრი ფილმიდან.

ჯ. აბულაძე

საქართველოს სამედიცინო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა. — გარდაიცვალა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნ. ყიფშიძის სახელობის რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი, სკკპ წევრი 1952 წლიდან, თბილისის საქალაქო საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატი ჯუმბერ ევგენის ძე **აბულაძე.**

ჯ. აბულაძე დაიბადა 1926 წელს. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თბილისის მე-17 პოლიკლინიკაში უბნის ექიმად, მთავარი ექიმის მოადგილედ, მთავარ ექიმად, შემდეგ კი ოქტომბრის რაიონის მთავარ ექიმად. 1973 წლიდან საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულების სამმართველოს უფროსია. იყო ამავე სამინისტროს კოლეგიის წევრი. 1979 წლიდან ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთ უდიდეს ცენტრს — ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოს.

ჯ. ე. აბულაძე, საუკეთესო მოქალაქე, კეთილშობილი და ალალმართალი კაცი მთელ თავის ენერგიას, ცოდნას და გამოცდილებას დღენიადაგ ადამიანის ჯანმრთელობას ანმარდა. კეთილსინდისიერი შრომით, საქმისადმი თავდადებით, გამორჩეული გულისხმიერებით მოიპოვა მან საავადმყოფოს მთელ კოლექტივში დამსახურებული ავტორიტეტი და პატივისცემა ბადლიერება და სიყვარული.

შესანიშნავი მკურნალის, ჯანმრთელობის დაცვის საქმის თვალსაჩინო ორგანიზატორის ჯ. ე. აბულაძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგებისა და მეგობრების გულში.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი; რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ფეხბურთი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„არარატი“	10	7	0	3	18-11	14
„ჩერნომორ.“	9	6	1	2	15-9	13
„დინამო“ (მნ)	10	5	3	2	13-8	13
„ყალგირისი“	10	4	5	1	9-6	13
„ტორპ.“ (მ)	9	4	4	1	10-8	12
„შახტიორი“	9	5	1	3	11-8	11
„ზენიტი“	9	4	3	2	11-8	11
„სპარტაკი“	9	4	2	3	16-7	10
„დნეპრი“	9	3	3	3	12-10	9
„ნეფთჩი“	10	3	3	4	9-10	9
„მეტალისტი“	8	3	2	3	9-9	8
„დინამო“ (კ)	8	3	2	3	5-6	8
„დინამო“ (მ)	9	2	4	3	6-5	8
„ფახთაქორი“	9	2	4	3	7-8	8
„დინამო“ (თბ)	10	2	3	5	8-13	7
„ნისტრუ“	9	2	1	6	6-18	5
ცსკა	**9**	**1**	**3**	**5**	**4-9**	**5**
„ტორპ.“ (ქ)	**10**	**0**	**2**	**8**	**5-16**	**2**

მეათე ტურის შემდეგ

გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეათე ტურის ბოლო მატჩი. ცსკამ მიიღო „ყალგირისი“. შეხვედრა დამთავრდა „ყალგირისის“ გამარჯვებით — 2:1.

დღეისათვის გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

ლიდერობს თ. გიორგაძე

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილ საჭადრაკო ტურნირზე დამთავრდა 6 ტურის შემდეგ გადადებული პარტიები. თ. გიორგაძემ ყიმით დაასრულა პარტია ე. უბილავასთან და 6 შესაძლებლიდან 4 ქულა მოაგროვა. ახლა იგი პირველი ადგილის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია. მომდევნო სამ ტურში თ. გიორგაძე ეთამაშება ზ. აზმაიფარაშვილსა და ე. გელერს, ერთხელ კი ისვენებს. 4 შესაძლებლიდან 3 ქულა აქვს პირველი ადგილის კიდევ ერთ პრეტენდენტს—ზ. სტურუას. მისი პარტია ე. გელერთან, რომლის შედეგსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, გადადებულია თანაბარ პოზიციაში. ზ. სტურუას 3 პარტია აქვს სათამაშო: ე. გუფელდთან, ე. უბილავასა და გ. ზაიჩიკთან. ბ. გურგენიძე ყიმზე შეუთანხმდა გ. გიორგაძეს და ე. გუფელდს. 3-3 ქულა აქვთ გ. ზაიჩიკს, ე. გუფელდსა და ზ. აზმაიფარაშვილს, პირველ ორს 5 შესაძლებლიდან, მესამეს — ექვსიდან. სამივე მათგანი ინარჩუნებს საპრიზო ადგილზე გამოსვლის შესაძლებლობას, საკმაოდ ბუნდოვანია ე. გელერის სატურნირო მდგომარეობა. საქმე ის არის, რომ მან მხოლოდ სამი პარტია დაამთავრა და 2 ქულა მოაგროვა. ახლა ბევრი რამ არის დამოკიდებული მის გადადებულ პარტიებზე ზ. სტურუასა და გ. ზაიჩიკთან. ასე რომ, მოსკოველი დიდოსტატი, რომელიც ფინიშზე ხვდება გ. გიორგაძეს, თ. გიორგაძესა და ე. გუფელდს, ინარჩუნებს პირველი ადგილისათვის ბრძოლის შესაძლებლობებს.

გ. გამრეკელი.

საფურნირო ორბიტა

ჭადრაკი. საბჭოთა დიდოსტატები იური ბალაშოვი და ნინო გურევიჩი, რომლებიც ჩინეთის ქალაქებში ხვდებიან ადგილობრივ მოჭადრაკეებს, ხანჯოუდან შანხაის ჩავიდნენ და იქ ორ-ორი პარტია ითამაშეს. ბალაშოვი შეხვდა საერთაშორისო ოსტატებს ცი ძინციუნს და ლი ძუნიანს და ორივეს მოუგო. გურევიჩმა დაამარცხა უ სიაონინი, ხოლო პენ ჯაოცინთან ყიმით დაამთავრა პარტია.

ველოსპორტი. მშვიდობის ველორბოლის მეოთხე ეტაპს სტარტი მიეცა პოზნანში (პოლონეთი) და ფორსტში (გდრ) დამთავრდა. ამ ეტაპის 175-კილომეტრიან დისტანციაზე პირველობა მოიპოვა რუმინელმა მირჩა რომაშკანუმ. მეორე-მესამე ადგილები შესაბამისად დაიკავეს პორტუგალიელმა ლუშა ტექსეირამ და მონღოლმა ცედენდამბინ განბოლდამ. ოთხი ეტაპის ჯამით ლიდერობს საბჭოთა ველოსიპედისტი ოლეგ ჩუკდა. გუნდურ ჩათვლაში წინ არის გდრ-ის ნაკრები. ჩვენი სპორტსმენები მეორე ადგილზე არიან.

ხელბურთი. ლენინგრადში დამთავრდა უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატში VII-XII ადგილებისათვის მებრძოლი კოლექტივების დასკვნითი ტური. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა (თბილისის „ქარიშხალი“) ლენინგრადში 5 თამაშიდან 2 მოიგო, მეათე ადგილზე გავიდა და ახლა თბილისში დამატებით ტურნირში ითამაშებს. მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვევა შეინარჩუნებენ თუ არა თბილისელები უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლებას. ამ დამატებით ტურნირში (27-29 მაისს) თბილისელთა გარდა იასპარეზებენ რიგის „ცელტნიეკსი“, ზაპოროჟიეს „ალუმინსტროი“ და ქალაქ ასტრახანის კოლექტივი. თბილისელებმა უმაღლეს ლიგაში დარჩენისათვის ამ შეჯიბრებაში მეორე ადგილი მაინც უნდა დაიკავონ.

საფურნირო ორბიტა

ბადმინტონი. საბჭოთა დიდოსტატები იური ბალაშოვი და ნინო გურევიჩი, რომლებიც ჩინეთის ქალაქებში ხვდებიან ადგილობრივ მოჭადრაკეებს, ხანჯოუდან შანხაის ჩავიდნენ და იქ ორ-ორი პარტია ითამაშეს. ბალაშოვი შეხვდა საერთაშორისო ოსტატებს ცი ძინციუნს და ლი ძუნიანს და ორივეს მოუგო. გურევიჩმა დაამარცხა უ სიაონინი, ხოლო პენ ჯაოცინთან ყიმით დაამთავრა პარტია.

ველოსპორტი. მშვიდობის ველორბოლის მეოთხე ეტაპს სტარტი მიეცა პოზნანში (პოლონეთი) და ფორსტში (გდრ) დამთავრდა. ამ ეტაპის 175-კილომეტრიან დისტანციაზე პირველობა მოიპოვა რუმინელმა მირჩა რომაშკანუმ. მეორე-მესამე ადგილები შესაბამისად დაიკავეს პორტუგალიელმა ლუშა ტექსეირამ და მონღოლმა ცედენდამბინ განბოლდამ. ოთხი ეტაპის ჯამით ლიდერობს სა